

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
არჩოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი

## ეტიმოლოგიური

### ძიებანი

**IX**

თბილისი

2012

UDC (უაკ)81373.6(0512)

კ-871

„ეტიმოლოგიური ძიებანი“ ქართული დასხვა ქართველური ენების ლექსიკის ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევისადმი მიძღვნილი ოქმა-ტური კრებულია.

კრებული 1987 წელს დაფუქნდა აკად. ქეთევან ლომთათიძის ინიციატივით.

კრებულში წარმოდგენილია გამოკვლევები, რომლებშიც ქართველურ ენათა ლექსიკური მასალის ანალიზისას მოხმობილია როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენათა სათანადო მასალა.

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ არაბული (მთავარი რედაქტორი)

ნანა მაჭავარიანი

მურმან სუხიშვილი

მედეა ლლონტი (რედაქტორი)

გაუა შენგელია

იზა ჩანტლაძე

მერაბ ჩუხუა

ზურაბ ჭუმბურიძე

კომპუტერული უზრუნველყოფა ლეგან ვაშაკიძისა

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების

ინსტიტუტი

ISSN 1987-9946

## ავთანდილ არაბული

### დაუშავებული და დამუშავი დერიბატგაბის აღგილისათვის ისტორიულ ლექსიკონი

ცნობილია, რომ ზედსართავი სახელი **მწიფე** უძველესი მიმღეობური წარმოებაა **მ - ე** კონფიქსით (შანიძე 1972, § 477) და სიტყვა-წარმოების ეს მოდელი აღდგება საერთოქართველური მონაცემებით (კლიმოვი 1964, 123-124; ფენრიხი-სარჯველაძე 2000, 311-312; არაბული 2001, 176-179). აღსანიშნავია, რომ ეს არქაული მიმღეობა საოცრად მყარი ერთეულია როგორც ფორმობრივ, ისე სემანტიკურად ქართული სალიტერატურო ენის მთელ სივრცეზე.

მით უფრო მოულოდნელია, რომ ეს სიტყვა არა ჩანს ე. წ. ფხოვური დიალექტური არეალის ლექსიკური მარაგის აქტიური ნაწილში. ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ აკაკი შანიძემ დააფიქსირა, რომ ამ კილოებში ”სიმწიფის” შინაარსს გამოხატავს სხვა ძირის ზმნური და მიმღეობური ფორმები:

**დაუამება** გუდ., მთ., მოქ., ფშ. (რაზ.-ჭყ.), ჭ., **დაუმობა** თ. დამწიფება. **დაუამული**, **დაუამებული** მწიფე, დამწიფებული (ხილი, მუწუკი). **დამუმარი** თ. მწიფე (ითქმის უფრო მოკრეფილი ხილი რომ დაკეთდება შინ). ”რა უნდა დაუამდეს ჩვენჩი” (მოქ.) (შანიძე 1984, ლექს.).

ამ ერთეულთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, ერთი მხრივ, **დაუამული**, როგორც მიმღობის ”მოკლე” ფორმა, რომელიც ზმნურ ფუძეს აღარ უწევს ანგარიშს, ხოლო მეორე მხრივ - **დაუმობა**, **დამუმარი** (თ.), ვინაიდან ისინი წარმოაჩენენ **ჟამი**- ძირის რედუცირებულ ვარიანტს, რაც არსებითად უცხოა ქართული ენის ისტორიისათვის; მისი რედუქცია გვხვდება მხოლოდ ისეთ იშვიათ კომპოზიტებში, როგორიცაა ძვ. ქართ. **სამუმისა** (და ვითარცა იყო ჟამი სამუმისა[ვ], ვილოცვდით რად ადგილსა მას... სერაპ.ზარზმ.; ხოლო ვი-

თარცა დღე წარმოიჩინა და სამუშაოსა [სამუშაოსა CGKL] უმი მოახლებულ იყო, გვზრდანა, რამთა სანთელი აღვანთეთ... ცხ. გ. მთაწმ. აგ. ძეგ. II, 185, 5) და ხევს. **წინაუმისა, წინაუმური** ”ძველებური” (უამ-ფუმის შეკუმშვა სიტყვაწარმოებაშიც დასტურდება: **უ-უმ-ურ-ი**). რაც მთავარია, აღნიშნული ლექსიკური ერთეულები (დაუმული და და-მუმარი) იმით იქცევს ყურადღებას, რომ ისინი ერთგვარად გამოსულან სიტყვაწარმოების ერთიანი სისტემიდან და ”დამდგარ” ტერმინებად გვევლინებიან, როგორც ეს საზოგადოდ არის დამახასიათებელი ტერმინიზაციისათვის (რა გზაც, თავის მხრივ, უნდა გაევლო **მ-წიფ-ე** ფორმას და სხვ.).

პროცესი ამგვარი ერთეულების წარმოქმნისა **უამ-** ძირისაგან აშკარად ჩანს ქართული ენის ისტორიულ წიაღში; კერძოდ, იმას, რასაც საბას ლექსიკონში მსგავს წარმოებებთან დაკავშირებით ვხედავთ, როგორც ჩანს, უფრო ღრმა ფესვები აქვს:

გარკვეულ ნაყოფთა ს ი მ წ ი ფ ი ს ა და უ მ წ ი ფ რ ო ბ ი ს აღსა-ნიშნავად სულხან-საბა ორბელიანი იყენებს **უამ-** ფუმიდან წარმოქმნილ მიმღეობებს; ლექსიკონის რედაქციების მიხედვით:

ZA: ნუშთა, ნიგოზთა და ეგევითართა, ცერცვთა, სიმინდთა და ეგევითართა და ა უ ჟ ა მ ე ბ ე ლ ს ა და სიმაგრენაკლებსა ო დ ო შ ს ა უწოდენ, ხოლო ყანათასა - ე ტ ე რ ს ა.

B: ნუშთა... და ეგევითართა ა რ ა დ ა ჟ ა მ ე ბ უ ლ ს ა, არამედ ნაკლებსა ო დ ო შ ს უწოდენ, ხოლო ყანათასა - ე ტ ე რ-ს ა.

C: ო დ ო შ ა დ ითქმის თხილთა, ნიგოზთა, ნუშთა და ეგევითარი ცერცვი და სიმინდი ა რ ა მ ო წ ე ვ ნ უ ლ ი მოწილვად, არამედ ოდენ მ ო ჟ ა მ ე ბ უ ლ ი და ნაკლები მცირედ, ხოლო ყანა ე ტ ე რ ა დ ითქმის.

DE: ო დ ო შ ა დ ითქმის თხილი, ნიგოზი, ნუში და ეგევითარი, ცერცვი და სიმინდი ა რ ა მ ო ჟ ა მ ე ბ უ ლ ი (არა-მედ D) მცირედ ნაკლები, ხოლო ყანა - ე ტ ე რ ა დ.

სალექსიკონო სტატიის რედაქციებიდან ჩანს, რომ **ფამ-** ფუძიდან ნაწარმოებია ნაირგვარი ფორმები სხვადასხვა ზმნისწინისა და სი-ტყვაწარმოების სხვადასხვაგვარი შესაძლებლობით (როგორც უარყოფითი მიმღეობის მოდელით, ისე უარყოფითი ნაწილაკის გამოყენებით), ანუ ლექსიკურად (ტერმინოლოგიურად) ეს წარმოება ჯერ კიდევ დამდგარი არ არის. რაც შეეხება წარმოქმნილ ფუძეთა შინაარსს, ის, ცხადია, ძველი ქართულიდან იღებს სათავეს, სადაც **მოუამებული** ”დროდამდგარს, დროულს, მოწევნილს” ნიშნავდა. ”ვეფხისტყაოსანში” (”აწ წადი, ნახე შენი მზე ნახვისა მოუამებულმან” 660, 4), ვიქტორ ნოზაძის განმარტებით, **მოუამებული** ”მოახლოებულია”.

ენის განვითარების ძველ საფეხურზე გამოკვეთილი ტენდენცია, რომ შეიძლება ტერმინული მნიშვნელობა ორიდან ერთ-ერთი ზმნისწინის (და-, მო-) გამოყენებით განვითარებულიყო, დიალექტებშიც იჩენს თავს, რაც თავისებურად უსვამს ხაზს პერიფერიული ენობრივი მოვლენების მუდმივ კავშირს ცენტრალურ პროცესებთან.

მაგალითად, ხევსურულში:

**დაუამდები-ს** დამწიფდება. **დაუამება, დაუამული**-ი: შენ დაუამულ ტყემალ გინდა? (გ. დოლ. 9, 3); არ ას დაუამული (გ. დოლ. 9, 32); თქმულა: დაუამულს ესროდენ, დაბლა ცვიოდა კოხია (ჭინჭარაული 2005).

ფშაური:

**დაუამებული**-ი დამწიფებული. დაუამებული იარა, ნესტარით გამოსარწყავი (ვაჟა).

ინგილოური:

**მოუამება** 1. სიმწიფის დაწყება, შეთვალება (ხილისა). მიმღ. **მანაუამევი, მოუამეულ** სიმწიფეში შესული, შეთვალებული. 2. გადატ. საქმის დროზე დასრულება, თავის მობმა (ღამბაშიძე 1988).

ქიზიყური:

**მოქამებულ**-ი მომწიფებული, დაბერებული (მენთეშაშვილი 1943).

რაც შეეხება ამ ფუძის მეორე დიალექტურ მნიშვნელობას, რომელიც ამავე სემანტიკის საფუძველზე განვითარებულა (შდრ. ფშ.: **და-ჟამებულ**-ი ... დაჟამებული იარა, ნესტარით გამოსარწყავი [ვაჟა] - ჭინჭარაული 1969; თუმ.: **დამჟმარ**- 1. დაბეჯილი ხილი, ლპობის პირას მისული; 2. გამოსარწყავად მომწიფებული მუწუკი. - ცოცანიძე 2002), ის თვით ”დამწიფება-მომწიფების“ ქვემნიშვნელობად დასტურდება (იხ. ქეგლ: დამწიფება [მნიშვ. 2]).

დავუბრუნდეთ **დაჟამულ**-, **დამჟმარ**- ფორმებს.

როგორც გამოჩნდა, **ჟამ**- ძირის ნასახელარი ზმნა **და**- და **მო**-ზმნისწინებით წარმოების სრულ პარადიგმას ქმნის (აქტივ-პასივის, ქცევის ფორმები, შესაბამისი სახელზმნები) და მათში აქტიურად ვითარდება საძიებელი სემანტიკა. უნდა ითქვას, რომ ”სიმწიფის“ სემანტიკის ნაირგვარი (მეორეული) გამოხატვა მოულოდნელი არ არის. თვით მწიფეს **წიფ**- ძირი დაკავშირებულია **წევ**- (მო-წევ-ა) ზმნურ ძირთან და ეს სემანტიკურადაც ხელშესახებია (შანიძე 1972, § 477); თუმცა ამ ახსნას ფორმალური სირთულეები ახლავს (შდრ.: ა. შანიძემ -**იფ** თემის ნიშანი გამოყო) და ქართველური მასალით შემოწმებაც სჭირდება. გამყრელიძე-მაჭავარიანი მას ზან. **ჭოფ**- ძირთან აკავშირებენ (იხ.: გამყრელიძე-მაჭავარიანი 1965, 270). ტიპოლოგიურად მსგავსი გენეზისისა ჩანს სლავური ს्पელი: спѣти, спѣю «спешить, стремиться...» (ფასმერი 1987, 734). მეორე მხრივ, იგივე მნიშვნელობა, შესაძლებელია უფრო ადრე, ჩამოყალიბებული ჩანს ვრेत ზმნისაგან: ვრელი. ტიპოლოგიურად ასევე საგულისხმოა „დამწიფების“ „დროსთან“ კავშირის მითითება ინდოევროპულ ენათა მონაცემების მიხედვით, კერძოდ, ასეთი მინიშნებაა *meH(i)*-ძირთან დაკავშირებით (გამყრელიძე-ივანოვი 1984, 691).

ამდენად, **წიფ**-, **მწიფე** ფუძის გვერდით შეუძლებელი არ არის პერიფერიული ლექსიკური ”ანალოგის“ განვითარება და წარმოდგე-

ნილი ჟამ- ფუმისეული წარმოება ამგვარი ისტორიული ენობრივი პროცესის ილუსტრაციაა. ხოლო დანარჩენ ფორმათაგან დაჟამულ-ი და დამჟმარ-ი ფორმები ამ სემანტიკური გადაწევის დროს იმით გამოიმიჯნა, რომ ისინი ერთგვარად განკერძოვდნენ სტანდარტული ფორმა- და სიტყვაწარმოებითი სისტემისაგან და ამით, ამ ფორმა-ლური იზოლაციით, საბოლოოდ განიმტკიცეს ტერმინოლოგიური თავისთავადობა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. **აგ. ბეგ. II – ბველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ბეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), თბ., 1967.**
2. **არაბული 2001 – ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუ- ძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბ., 2001.**
3. **გამყრელიძე-მაჭავარიანი 1965 – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართვე- ლურ ენებში, თბ., 1965.**
4. **გამყრელიძე-ივანოვი 1984 – Т. В. Гамкелидзе, Вяч. в. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тб., 1984.**
5. **კლიმოვი 1964 – Г. А. Климов, ЭСКЯ, М., 1964.**
6. **მენთეშაშვილი 1943 – ს. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943**
7. **ფასმერი 1987 – М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, III, М., 1987.**
8. **ღამბაშიძე 1988 – რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კოლოს ლექსიკონი, თბ., 1988**
9. **ღამბაშიძე 1988 – რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოუ- რი კოლოს ლექსიკონი, თბ., 1988.**
10. **შანიძე 1984 – ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1984.**

11. შანიძე 1972 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1972.
12. ცოცანიძე 2002 – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბ., 2002.
13. ჭინჭარაული 1969 – ვაჟა-ფშველას მცირე ლექსიკონი, შეადინა ალ. ჭინჭარაულმა, თბ., 1969.
14. ჭინჭარაული 2005 – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005.

## Avtandil Arabuli

### Towards the place of *dažamuli* and *damžmari* derivates in the historical dictionary

#### Summary

The paper deals with the process of developing of the meaning "ripening" in the derivates of **žam-** "time" stem and terminization of the participle derivates in dialects as synonyms **dažamul-i** and **damžmar-i** "ripe" ..

## ელისაბედ გაუდელიანი

### ეთიარესოთან დაბაზულებული ლექსიპის სტრუქტურულ-სიმანტიკური ანალიზისათვის სტანდარტი

მთვარე ქართველი ხალხის ქრისტიანობამდელ, წარმართულ სარწმუნოებაში უმთავრეს ღმერთად ითვლებოდა. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ წარმართობის დროს, ქართველ ტომთა განსახლების ადგილებში, არსებობდა მთვარის ტაძრები, სადაც ტარდებოდა ახალი მთვარის, სავსე მთვარის და საერთოდ მთვარის თაყვანისცემისადმი მიძღვნილი რელიგიური რიტუალები. როგორც ცნობილია, საქართველოში ქრისტიანული კალენდრის შემოღებამდე გაბატონებული იყო მთვარის კალენდარი. იგარაუდება, რომ ქრისტიანულ სარწმუნოებაში წმინდა გიორგის, რომელსაც ღვთაებათა იერარქიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს, წარმართობის დროინდელი უზენაესი ღვთაების მთვარის ადგილი უკავია (ჭავახიშვილი 1979, 90).

სვანეთის მკაცრმა კლიმატურმა პირობებმა, საუკუნეების მანძილზე ბუნების მოვლენებზე დაკვირვებამ და გამოცდილებამ, ბევრმა ძველმა წარმართულმა, თუ შედარებით ახალმა ქრისტიანულმა რწმენა-წარმოდგენებმა და მასთან დაკავშირებულმა რელიგიურმა რიტუალებმა, ღღემდე შემოგვინახა მთვარის კალენდრის მიხედვით სვანი კაცის ცხოვრების წესი: მთვარის რომელ ფაზაში იყო მიზანშეწონილი ესა თუ ის სამეურნეო საქმიანობა (ხვნა-თესვა, მშენებლობა, ახალმოსახლეობა, მგზავრობა, ნადირობა, ოჯახის შექმნა და სხვა ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება).

მთვარეს სვანურად დოშდულ (ბზ., ლშ.) დოშტულ (ლნტ.) ჰქვია. გამოყოფენ -ულ კნინობითის სუფიქსს, რაღვან მისი არაძირისეულობა მტკიცდება ორშაბათი დღის სახელწოდებით, მაგ., დლშდ-

იშ, დუეშდიშ (ბზ.), დეშდ-იშ (ბქ.), დოშდ-იშ (ლშ.)., დუეშტ-იშ (ლნტ.) „ორშაბათი“ (ზედმიწ. — მთვარისა). ძირია დოშდ, -იშ ნათ. ბრუნვის ნიშანი (თოფურია 1979, 24). ბ. ნიუარაძის ლექსიკონში მთვარის აღსანიშნავად მითითებულია როგორც დოშდ, ისე კნინობით სუფიქსიანი დოშდ-ულ „მთვარე“, დოშდ-იშ „ორშაბათი“; ამავე ლექსიკონში „თვის“ აღსანიშნავად სვანურ ფორმებად მიწერილია თვე და დოშდ. მთვარესთან დაკავშირებულ შესიტყვებებში მთვარე კნინობითი სუფიქსით დასტურდება, მაგ.: დოშდლა ლითნალ „მთვარის დაბადება“; დოშდლა ლიბურე „მთვარის დაბნელება“. ნათ. ბრუნვის ფორმებში კნინობითის -ულ სუფიქსისეული -უ- დაკარგულია, რომელიც სხვა დიალექტებში ნაწილობრივი რედუქციით ხანუდ არის ქცეული, ან სრულად არის დაცული. მაგ.: **მი მაკუჩი დოშდულა** (\*დოშდ-ულ-აშ) ლიწედ (ბზ. 368) „მე მინდა მთვარის დანახვა“; დოშდუაშ ნარჩიშუ სგოჰიედ ქორთე (ბქ.) „მთვარის შუქით მოვალწიეთ სახლამდე“; დოშტულა უი ლიპედს ხოლელის (ლნტ.) „მთვარის ამოსგლას უცდიან“.

სამეცნიერო ლიტერატურაში სვან. დოშდულ „მთვარე“ სახელის ფონეტიკურ ეკვივალენტად მიჩნეულია მეგრ. თუთა „მთვარე“, რომელიც უნდა მომდინარეობდეს დუთა ფორმიდან. ვ. თოფურიას ვარაუდით, სამწერლობო ქართულში \*დუთა უნდა გვქონოდა (თოფურია 1979, 217). ივ. ჭავახიშვილს მიაჩნია, რომ რადგან თ მეგრულ-ჭანურში გვაქვს, ხოლო ქართულში მეხუთე საუკუნიდან მისი არსებობა უცილობლად დადასტურებულია, ამიტომ დ'ს პირველადობა საეჭვოდ მიაჩნია და ვარაუდობს, რომ შეიძლება დღევანდელი დოშდ ფუძის მაგივრად \*შდოშდ- გვქონოდა, რადგან ძველი ქართული თ სვანურში შდ'ს გვაძლევს (შდრ. ჭართ. თაგვი, სვან. შდუგუ). ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ უ თანხმოვანი დროთა განმავლობაში თავკიდურ პოზიციაში ამ ლექსემას ჩამოსცილდა. ე. ი. ივ. ჭავახიშვილი სვან. დოშდ- ფუძის პირველ დ'ს მეორეულად მიიჩნევს და პირ-

ველადობას **თ**'ს ანიჭებს (ჭავახიშვილი 1979, 172). არნ. ჩიქობავამ ერთმანეთს დაუკავშირა ჭან.-მეგრ. **თუ-თ-ა** „თვე, მთვარე“, ძვ. ქართ. **თ-თუე** „თვე“, სვან. **დო-შდ-ულ** „მთვარე“. სვანური **დო-** იგივე ფორმანტია, რაც **თუ-** ჭან. მეგრულ **თუ-თ-ა**'ში და ძვ. ქართ. **თვ-თ-ე** (**თუ** ← **დუ-** (← || **დო-** სვან.) ნივთის კატეგორიის თავსართად მი-იჩნია (ჩიქობავა 1942, 174).

სვანურ ენაში ერთიდან შვიდ დღემდე მთვარეს **მახე დოშ-დულ** (ზს., ლშხ.), **მახე დოშტულ** (ლნტ.) „ახალი მთვარე“ ჰქვია. ხშირად იხმარება მისი პოსტპოზიციური ფორმა — **დოშდულმახე** (ბზ., ლშხ.), **დოშტულმახე** (ლნტ.) სვანურ გამოქვეყნებულ ტექსტებში საკმაოდ ხშირად შეგვხვდა მთვარის ერთი განახლების, მთვარის ოცდათდღიანი მოძრაობის აღსანიშნავად ტერმინი **დოშდულმახე** „მთვარე ახალი“, რომელიც ერთი თვის ტოლფასია. მაგ.: **ქა ირჟაკ ჩარუ ი სამ დოშდულმახა** (ბზ., ქრ., 23) „იგვიანებდნენ ორ და სამ თვეს (მთვარე ახალს)“; **უსგუამ დოშდულმახაისგა მერარს ლამშია მამ ხარს** (ბზ., ქრ., 123) „ექვსი თვე (მთვარე ახალში) ფუტკრებს (მწერებს) სამუშაო (მუშაობის პირობები) არ აქვთ“. შებრუნებული წყობა **დოშდულმახე** ხშირად **მახედოშდულ**-ის ნაცვლადაც იხმარება. მაგ.: **დოშტულმახაჲი პნკად** (ლნტ.) „მთვარეახალზე (ახალი მთვარსი ღროს) მოვიდა“.

ახალ მთვარესთან იყო დაკავშირებული ოჯახში სხვადასხვა რელიგიური რიტუალები. ყოველ ოჯახში ცხვებოდა ახალი მთვარისადმი მიღვნილი **ლემეზირ-ები** „სალოცავი, შესაწირი პურები“: შდრ. **ლი-მზგ** „ლოცვა“, **ლა-მზგრ** „სალოცავი“. მსხვილფეხა საქონლის შეწირვა (გაშვება) მთავარანგელოზის სახელზე ხდებოდა მხოლოდ ახალი მთვარის ორშაბათს. მონადირეებმა იცოდნენ, რომ **„მორელალს ხსიპხ ქერსკნალ დოშტულ მახეჲი** (ლნტ., 88, 17) „მუავე წყლებზე დადიან არჩები მთვარე ახალზე“:

რვა დღიდან თოთხმეტ დღემდე მთვარეს, დიალექტების მიხედვით. **მეცხემ / მეცხემ დოშდულ** (ზს., ლშხ.), **მეცხემ / მეცხამ დოშტულ** (ლნტ.) „მზარდი მთვარე“ ჰქვია. შდრ. **ლი-ცხემ** „გაზრდა, მომატება“. მაგ., **ლალელდ უ'ნცხე** (ლშხ.) „დღემ მოიმატა“; **დოშდულიშხი** (პზ., ლშხ.), **დოშტული იმშხი** (ლნტ.) „მთვარე ახლდება“; **დოშდულ ადგხან** (ბქ.), **დოშტულ ადგანან** (ლნტ.) „მთვარე გაახლდა“. მთვარის განახლების დროს კარგია: თესვა, მშენებლობის დაწყება, მგზავრობა, საპატარძლოს დანიშვნა... **ხოჩა დოშდულს პთშის ილაკირს გვემს** (ბზ., ქრ., 113) „კარგ მთვარეს არჩევენ და საკირეს აშენებენ (დგამენ)“. **ხოჩა დოშტულფი ლგთუშე ბეფშ ხოჩა ლერდი ლოქ ლი** (ლნტ.) „კარგ მთვარეზე დაბადებული ბავშვი კარგი გასაზრდელიან“. ერთ-ერთი საქორწინო რიტუალი **ჭიშხი ლიფშდუნე, ლიფშდ(თ) უნძლ** „ფეხის ახსნა, აშვება, განთავისუფლება“, რომელიც სარძლოდ დანიშნული ქალის, საქმროს ოჯახში მოყვანისას სრულდებოდა, უეჭველად მაშინ უნდა ჩატარებულიყო, როცა მთვარე ათი დღის გახდებოდა. ამ შემთხვევაში ცოლ-ქმარი ერთმანეთს შეაბერდებოდა და კარგი შთამომავლობა ეყოლებოდათ (ხარაძე 1939, 88).

მ. ჩართოლანის ნაშრომში, „ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან“, **ხოჩა დოშდულ** „კარგი მთვარის“ სინონიმად შეგვხვდა **მეგპე დოშდულ** „გამძლე, მაგარი მთვარე“, **მეგპე / მეგპჲ** „გამძლე“, **ლიგპე** „გაძლება“. **გაჲ** „ძლებს“; **გაჲა / გაჲა** „გაძლება“; **ლე-გაჲ** „გასაძლები, დასაჭერი, დასაკავებელი“. ეს ძირი მ. ჩუხუძი დაუკავშირა ქართ. **გაწ-არ-ი** „გრძლად ნაგები მახე“ (საბა) ეტიმ. „საჭერი, დამჭერი“ ფუნქს. ს.-ქართვ. \***გაწ-** „დაჭერა, მახე“ → ქართ. გაწ-არ-ი, სვან. **გაჲ || გაჲ** || **გოჲ** (ჩუხუძა 2000-2003, 83).

განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა, როგორი მთვარე იყო საპატარძლოს დანიშვნის დროს. **მოცქულაკ** „მოციქულები“ და ვაჲის ოჯახის წევრები, მხოლოდ კარგი მთვარის დროს (**ხოჩა დოშდულ, მეგპე დოშდულ**) მიღიოდნენ საპატარძლოს ოჯახში, ქალის

დასანიშნად. რაც შეეხება ქორწილს, პატარძლის მოყვანას ვაუის ოჯახში ამ დროს მთვარის ფაზას საგანგებო ყურადღება არ ექცეოდა, თუმცა სასურველი იყო კარგი მთვარე ყოფილიყო.

**მეცნამ დოშდულ**'ს „მზარდ მთვარეს“ ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე ცინცესლ დოშდულ / დოშტულ „ცინცხალი მთვარე“-ს უწოდებენ, ხოლო პარალელურად მთვარის ამ ფაზას სვანურის ყველა დიალექტში ცინცელარ / ცინცელარ „ცინცხლიანი“-ს. ცინცელარ-ი ზუსტად ერთ კვირს მოიცავს და მთვარის ამ ფაზაში არ შეიძლება სახლისათვის საჭირო ხის მასალის მოჭრა, რადგან ის მალე ხმება და ფუჭდება. ცინცელარ დოშდული ნაქვიც დირალს ბლილ ხესყი, დოსგ ქვერნი (ლშხ., IV, 176, 32) „ცინცხალ მთვარეზე მოჭრილ დირებს ჭია უჩნდება (უკეთდება), ადრე ლპება“, მაგრამ შეშის დასამზადებლად გამორჩეულად კარგი დროა, განსაკუთრებით, ცინცელარ-ის კვირის ორი დღე — ორშაბათი და პარასკევი. ალ ლადღარისა ზექი ლიმპრე ხოჩა ლი (ლშხ.) „ამ დღეებში შეშის დამზადება (მოჭრა) კარგია“. კარგია, აგრეთვე სანადიროდ წასვლა. მიიჩნევენ, რომ დაჭრილი ნადირი მალე კვდება. ცინცელარ-ის ნათხუარ (ბზ., ლნტ.), ნათხურა (ბქ.), ნათხუარე (ლშხ.) „ნანადირევი“ (იგულისხმება ჯიხვი და არჩვი). დროის ამ მონაკვეთში, მონადირეების ცნობით, ისინი უფრო მეტად მოძრაობენ და ალბათობა მეტია, რომ მონადირე მათ გადაეყრება. ცინცხალი — 1. ნაპერწყალი, შხეფი. 2. ბრჭყვიალა, ხასხასა, ახალთახალი (ქეგლ); უხმარი (ლშხ.). ასლან ლიპარტელიანის ჩოლურული დიალექტის ლექსიკონში მითითებულია, ცინცხლობა — რაჭაში იმართებოდა და მთვარის ხატობას წარმოადგენსო. ხალხის წარმოადგენით, ცინცხლობის დროს ჭრილობა გვიან ხორცდება. ცუდია ამ დროს ავად გახდომა, ავადმყოფი ძნელად მორჩება. აღსანიშნავია, რომ მზარდი მთვარის დროს ქურდები არ ქურდობენ, ეს განსაკუთრებით ეხებოდა საქონ-

ლის ქურდებს, რადგან ამ დროს ჩადენილი ქურდობა გაუხსნელი არ დარჩებოდა.

სვანურ ლექსიკონში მითითებულია მთვარის ერთ-ერთი ფაზის აღმნიშვნელი ლექსემა: **გაუ** (ზს.), **გაუბლ** (ბქ.) 1. „ნატეხი“ (დირიშ გაუ) (ბქ.) „პურის ნატეხი“, 2. „მთვარის ნახევარი რკალი“. **დეცა** დოშედლაშ გაუ წუა (ბზ.) „ცაზე მთვარის ნახევარი რკალი ჩანს“.

სვან. **გაუ** „ნატეხი“ სამეცნიერო ლიტერატურაში დაკავშირებულია ქართ. **გალ** || **გლ** ძირთან, **გა-გალ-ვა** „დანაყვა“, **გლ-ა** „ჩეჩევა“, ქიზიყ. **ნა-გალ-ი** „ნალეჭი“; **გალა** (გურ.) „ნელი, სუსტი, თხელი (ითქმის სითხეზე)“. **გალა ლვინო** „სუსტი ლვინო“, **გალა ჩაი** „თხელი, ლია ჩაი“. საერთო-ქართველურ დონეზე აღდგენილია \***გალ** „ტეხა, დანაყვა, ჩეჩევა“. ქართ. **გალ** — სვან. **გაუ- (ჰლ)** ← **გალ**. აქვე შეიძლება მოვიტანოთ **ლგ-გალ-ე** „დავრდომილი“ (ა. ლიპარტელიანი) ე. ი. დასუსტებული, გატეხილი (ჩუხუა 2000-2003, 80).

**გოში დოშედულ** „სავსე მთვარე“, „პადრი მთვარე“. სავსე მთვარეობა სამი დღე გრძელდება და ოტყვიან: **დოშტულ ივახშმლ** „მთვარე ვახშმობს“. 17, 18, 19 დღიან მთვარეზე ოტყვიან **ჩვედტუახშმნ** **დოშედულ** (ლშხ.) „ივახშმა მთვარემ“. ახალ სახლში გადასვლისათვის განსაკუთრებით კარგ დღედ ითვლებოდა **17** დღიანი მთვარე. სავსე მთვარის ფაზაში კარგია ხის მოჭრა. ამ დროს დაბადებული ადამიანი დიდხანს ცოცხლობს. ბალსქვემოურ დიალექტში **გოში დოშედულ**-ის პარალელურად გვაქვს **ლგელპეტე დოშტულ** „მოკალაპოტებული მთვარე“, **ლგ-** — **-ე** კონფიქსია. ფუძეა **კალპეტ** „კალაპოტი“. კალაპოტი იგივეა, რაც ყალიბი (ჭეგლ). **კალპეტ** „წყლის გზა კლდეებში ჩაკრული“ (ლიპარტელიანი 1994, 156).

სავსე მთვარეობას მოჰყვება მთვარის კლება, მთვარის ამ ფაზას ლენტებურ დიალექტში **სკპ დოშტულ** „შიგნითა მთვარე“, ხოლო ლაშეურ დიალექტში **სგა ლუჭონე დოშდულ** „მოხვეული, მობრუნებული მთვარე“, ან **მეკუდარ დოშდულ** „კლებადი მთვარე“,

ფუქეა -კუდ-, შდრ. **ლი-კუდ-ე** „მოკლება, დაპატარავება“. აღნიშნულ ფუქეს უკავშირებენ ქართულ კვდ-ომ-ა, კუდ- ფუქებს. **იკუდე დოშდულ / დოშტულ** „იკლებს მთვარე“ ჰქვია. **ბაბად ამზარუ ძდკუდიდ** (ლნტ.) — „ბაბუამ წელს ძალიან მოიკლო (ბაბუა ძალიან მოხუცდა)“. მთვარის კლების დაწყებიდან თხუთმეტი დღის შემდეგ, როცა მთვარე ოდნავ ჩანს **ლგბაქე დოშდულ** — „დალეული, დამცხრალი მთვარე“ ეწოდება. **ადბაქან დოშდულ** „გაქრა, გაილია მთვარე“, შდრ. **ი-ბაქ-ი** „ქრება, უჩინარდება“. გარდა ამისა, მთვარის ამ ფაზის ლაშეურ დიალექტში **მეშდხე დოშდულ**, ხოლო ლენტეხურში **მეშტეხე დოშტულ** „გათავებული, შემოლეული მთვარე“ ჰქვია.

სამი დღის განმავლბაში მთვარე არ ჩანს, ამ დროს მთვარეს **უჩინმაჩინი, უჩიჩმაჩარ** (ბზ., ლნტ.) **უჩიჩარი** (ლშ.) „უჩინმაჩინ“-ს უწოდებენ. **უჩიჩარი** „მთვარის განახლების კვირა ძალი“ (ლიპარტელიანი 1994). ქართ. **უჩინარი** „დასანაზავად უხილავი, დაუნახველი“ (საბა). **უჩინმაჩინი** „ვინც გაუჩინარებულია, შეუმჩნეველია, ვისაც ვითომდა გაუჩინარების უნარი აქვს“ (ქეგლ). ამ დროს გაჩენილი საქონელი კარგია და მას სანაშენედ ზრდიან.

თქმულების მიხედვით **ეშხუ მახას** „ერთ ახალს“, ერთი დღის მთვარეს მხოლოდ არჩევები ხედავენ. **მერმე მახას** „მეორე ახალს, ორი დღის მთვარეს“ თევზებიც ხედავენ, **მესემე მახას** „მესამე ახალს, სამი დღის მთვარეს“ უკვე ადამიანიც ხედავს.

კარგ მთვარეზე დაბადებული პირი მიჩნეული იყო კეთილი ფეხის მქონე ადამიანად. მას ირჩევდნენ ახალ წელს ოჯახის მეკვლევად. განსაკუთრებით კარგ დღედ ითვლებოდა ის ახალი წელი, რომელიც ახალ მთვარეს დაემთხვეოდა. ვ. ბარდაველიძის ცნობით, კარგი იყო ახალ მთვარეზე ყოველგვარი მუშაობა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გამორჩეულად კარგ მთვარედ ითვლება 17, 18, 19 დღის მთვარე. ამ დღეებს უკავშირდებოდა ის ტრადიციაც, რომ ხორბლის ახა-

ლი მოსავლის ფქვილისაგან გამომცხვარ პურზე პირველად ბედნიერ მთვარეზე დაბადებულ ადამიანს უნდა დაედგა კბილი. ამ რიტუალს **ლიშვი** (ზს.), **ლიშვე** (ლშ.), **ლიშვენი** (ლნტ.) „გასინჯვა (გემოს)“ ჰქვია, **ჟვენი** „სინჯვს (გემოს)“. მხოლოდ ამ რიტუალის ჩატარების შემდეგ შეეძლო ოჯახს ახალი მოსავლის საკვებად გამოყენება.

ახალი წლის შემდეგ პირველი სამი დღე კვიმატიან, მეტად უკულმართ დღეებად ითვლებოდა. კარგი იყო თუ კვიმატობა 9 ან 7 დღის მთვარეს დაემთხვეოდა (ბარდაველიძე 1939, 180).

ხშირად ბალსქვემოურ დიალექტში ხარს ან ძროხას შუბლზე თეთრი ნიშნით **დოშდულაბლ-ს** „მთვარისა“ს არქმევდნენ; **დოშდულირ ლეთშრ** (ბზ.) „მთვარიანი ღამეები“. მთვარეულის აღსანიშნავად ლაშეურ დიალექტში იხმარება **დოშდულამ** „მერმთვარია“, ხოლო ლენტეხურში **დოშტულა მეჭემნალ** (ლნტ.) „მთვარის მადევარი“, ხორა **დოშტულური ლგთაუე ბეფშ** ხორა **ლერდი ლოქ ლი** (ლნტ.) „კარგ მთვარეზე დაბადებული ბავშვი კარგი გასაზრდელიან“.

**დოშდ** ფუძიდან იწარმოება სვანურში კვირის პირველი დღე **დოშდ-იშ / დუეშდ-იშ** (ბზ.), **დეშდ-იშ** (ბქ.), **დოშდ-იშ** (ლშ.), **დუეშტ-იშ** „ორშაბათი (მთვარისა)“. -იშ ნათ. ბრუნვის ნიშანია. შდრ. მეგრ თუთაშხა, ჭან. **თუთაჩხა** „ორშაბათი (მთვარის დღე)“, შდრ., აგრეთვე, სვანურში არსებული **დუეშდი ლადელ** (ბზ.), **დოშდი ლადე ღი** (ლშ.), **დეშდი ლადელ** (ბქ.), **დუეშტი ლადელ** (ლნტ.) „ორშაბათი დღე (მთვარის დღე)“.

კვირის დღეებს შორის **დუეშდიშ** გამორჩეულ, სხვადასხვა რელიგიური რიტუალების დასაწყის დღედ ითვლება. ორშაბათ დღეს არ შეიძლება საციქველის გაცემა. ამ დღეს სვანები ცდილობენ დილით ადრე პირველად კეთილი, კარგი ფეხისა და თვალის გარეშე ადამიანი დაინახონ (ასეთი ადამიანები ცნობილი იყო სოფელში). **ხორა ჭიშხიშ ი თემი ამსუალდ** (ლშ.) „კარგი ფეხის და თვალის

ადამიანი“, რომელსაც **მე-დოშდი-იშ** (ლშხ.), **მე-დუშეშტ-იშ** (ლნტ.) „მეორშაბათე“ ეწოდება. ორშაბათს ერთმანეთთან შეხვედრის დროს იტყვიან: **ხოჩა დოშდი მიშუ ჭარ** (ლშხ.) „კარგი ორშაბათის კვირამც (ორშაბათ კვირა) გქონდესა“.

**დოშდიშ-თან**, ე. ი. ორშაბათ მთვარის დღესთან, ივ. ჭავახიშვილის ცნობით, რამდენიმე წარმართული დღეობაა დაკავშირებული, რომელთაც დღეს ქრისტიანული ელფერი მიუღიათ. აღდგომის წინა ორშაბათი ქრისტიანულად ვნების კვირის ორშაბათია, სვანურად **ჰერიაშ დეშდიშ** (ბქ.) „ეშმაკის ორშაბათი“, **ჭიმკარე დოშდიშ** (ლშხ.) „ჭინკების, ავი სულების ორშაბათი“. ამ დღეს იწყება სააღდგომოდ ოჯახიდან ეშმაკების განდევნა. **ქორა ლიწყლიანი** (ლშხ.) „ოჯახის გაწმენდა“. **დუშეშდიშ**ს „ორშაბათს“ და **დოშდულ**ს „მთვარეს“ უკავშირდება ერთ-ერთი დღესასწაული **ლაპბრობ** „ლამპრობა“, რომელიც ორშაბათობით იმართება. **ნამპარ დუშეშდი ლადელ** „ლამპრობის ორშაბათი დღე“: ქრისტიანული კალვიდრით დაახლოებით იგივეა, რაც მირქმა, რომელსაც სვანეთში **სუიმნობ**, **სუიმნიშ** „სვიმონობა“ ჰქვია. სწორედ სვიმონმა მიირქვა ყრმა მაცხოვარი ამ დღეს.

წარმართული სარწმუნოებიდან უნდა იყოს შემორჩენილი სვანეთში ადრე გავრცელებული რიტუალი, რომელიც ორშაბათს ამოყვანილი ყველის — **ნადოშდიშ თაშ** (ლშხ.) „ნაორშაბათევი ყველი“, **დეშდიშია თაშ** (ბქ.) „ორშაბათის ყველი“ ჭამას უკავშირდება. იმ დღეს ამოყვანილი ყველი მამაკაცებს არ ეჭმეოდათ. **დუშეშდი ნავსლუ თაშას უი იზგერდას შდაშუ** (ბზ., ქრ., 12) „ორშაბათს ამოყვანილ ყველს დალკე აგროვბლენენ“. ამ ყველისგან გამომცხვარ ხაჭაპურებს კერასთან, მიწას სწირავდნენ ქალები ხმის ამოულებლად და იქვე მიირთმევდნენ. სვანურის ყველა დიალექტში ამ ყველისაგან გამომცხვარ **თაშას ლემზგრაბ**ს „ყველიან, შესაწირ სეფისკვერებს“ **დულ**ს უწოდებენ, ხოლო ამ რიტუალის ჩამტარებელ ქალებს **მე-დულუშალ** „მედულე“: ბალზემოურ ტექსტებში ამ სახის ხაჭაპურის

**სახელად დადასტურდა აგრეთვე დუღუშებრ „მდუღარება“.** **დუღუშებრს ხაყლას სგელდ მგნაჟ ქუთუშებრს** (ბზ., ქრ., 12) „მდუღარებას (მდუღარეს) უწოდებდნენ სქლად გამომცხვარ ხაჭაპურებს“.

საინტერესოა, აგრეთვე, ყველიერის ორშაბათი დღის სახელწოდებები: **თუეთნე დოშდიშ / დუეშდიშ** (ბზ.) „თეთრი ორშაბათი“, **თუეთნე დოშდიშ იბნი ლგვორაში ი თაშორა ლიზობ** (ლშხ.) „თეთრ ორშაბათს იწყება რძის ნაწარმის და ყველეულის ჭიმა“. ყველიერის მომდევნო ორშაბათს სვანურად **მეშხე დოშდიშ** „შავი ორშაბათი“, ან **უტკუნ დოშდიშს** „ბნელი ორშაბათი“ ეძახიან. **უტკუნ** „ბნელი“, შდრ. ჭართ. უკუნს, უკუნი ღამე. ქრისტიანული კალვიტოთ **მეშხე, უტკუნ დოშდიშ** „შავი, უკუნი ორშაბათის“ დიღმარხვის დაწყების პირველი დღეა და მორწმუნები ამ დღეს მძიმე მარხვას იცავენ, რამაც განაპირობა ამ ორშაბათის სახელი. ბალსზემოურ ტექსტებში შეტანილია დღესასწაული სახელწოდებით **ფხუ**, რომელიც ყველიერის აღების მეორე დღეს, ორშაბათს იწყებოდა. **ყველიერე ალაბ მერმა ლადალ დუეშდიშ ლი (ფხუ)** (ბზ., ქრ., 13) „ყველიერის აღების მეორე დღეს, ორშაბათს არის ფხუ“. **ალ ლადალ იბნოლდახ ნიშგვემგუ ფხუვარუ** (ბზ., ქრ., 13) „ამ დღეს იწყებოდა ჩვენთან ფხუები“.

მ. საღლიანის ცხუმარულ ტექსტებში დადასტურებულია ორი **ფხუ**ს არსებობა. ორივე **ფხუ** იწყებოდა ორშაბათ დღეს ე. ი. მთვარის დღეს. 1. **ყუელერიშ დეშდიშს შუანარ თუეთნე ფხუს ხატულის** (ბქ.) „ყველიერის ორშაბათს სვანები თეთრ ფხუ ეძახიან“. 2. **თეთნე ფხუს ხაჭიმ მეშხე ფხუ... ალ დრექა ლგშრაუე მანგუეშ იმპრგდა** (ბქ.) „თეთრ ფხუს მოსდევს შავი ფხუ... ამ დროს სახსნილო არაფერი შეიძლება (ვარგობს)“.

ირკვევა, რომ ეს დღესასწაული იმართებოდა ყველიერის კვირის ორშაბათს (მთვარის დღეს) და მთელი კვირა გრძელდებოდა

**თუშეთნე ფხუ** „თეთრი ფხუ“, ხოლო ყველიერის მომდევნო დიდმარხვის არშაბათიდან მთელი კვირა იყო **მეშე ფხუ** „შავი ფხუ“.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ პ. ჭარაიამ ქართ. **ზა-ფხული-ი**, სვან. **ლუ-ფხუ** „ზაფხული“ და აფხ. **ა-ფხენ** — ერთმანეთის მონათესავედ მიიჩნია. არნ. ჩიქობავა ამ დაკავშირებას საფუძვლიანად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ სწორია ამ სიტყვის ერთი ნაწილის ეტიმოლოგიური გააზრიანება „თბილის“ საფუძველზე, და მეცნიერი იქვე აგრძელებს, **ზა** სვანურად წელიწადს ნიშნავს, **ზა-ფხ-ულ** „წლის თბილი დრო“, „თბილი სეზონი“. სვამს კითხვას იმის შესახებ, **ფხ-ულ** ფუძე მარტივია თუ ნაწარმოები. აქვე მოჰყავს შესაღარებლად სვან. **ლუ-ფხე-უ** და განმარტავს, რომ **ზა-ფხ-ულ** სახელში **-ულ** უნდა გამოიყოს (ჩიქობავა 1942, 43). თუ გავითვალისწინებთ სვანურში დაღასტურებულ **ფხუ**ს „დღესასწაულს, რომელიც იმართებოდა გაზაფხულის პირზე, რადგან ყველიერი და დიღმარხვის კვირა ემთხვევა გაზაფხულის პირველ თვეებს — თებერვალს ან მარტს. სავარაუდოდ დღესასწაული **ფხუ** იმართებოდა სითბოს დადგომასთან დაკავშირებით. მით უმეტეს, რომ ამავე დღეებში ქალები კერასთან მიწას სწირავდნენ **ლეზგრებს** „სალოცავ პურებს, სეფის-კვერებს“, რომ მიწა მაღლე გამთბარიყო.

იმავე ტექსტში ვკითხულობთ: **მიუ ალ დრეუისგა ხოშილ ამ-შე ზურალარს** (ბქ.) „მზე ამ დროს უფრო მეტად აშავებს ქალებს“. აშკარაა, რომ სვან. **-ფხუ-** გაზაფხულის, სითბოს დადგომისაღმი მიღვნილი დღესასწაულია და ის უთუოდ უკავშირდება აფხ. **ა-ფხენ**, **ა-ფხეარა**ს „სითბო“. ასევე **ფხუ** ფუძე გვაქვს ქართ. **ზა-ფხული-ი**, **გა-ზა-ფხუ-ლი-ი**, სვან. **მა-ლ-ფხ** (ლნტ.), **ლუ-ფხე** (%ს., ლშხ.) „გაზაფხული“ სახელებში. ლნტ. **მალფხეუ**, როგორც ჩანს **ლუ-ფხუ**ზე **მა** თავსართის დართვით არის მიღებული.

ცნობილია, რომ პ. ჭარაიამ ერთმანეთს დაუკავშირა ლაზ. **გა-ფხ-ა** „მოწმენდილი ცა, მზიანი, ნათელი დღე“... და სვან. **მე-ფხ-ე**

„მოწმენდილი ცა“, **ი-მე-ფხ-ალ** „იდარებს“, **ქ-ად-მე-ფხ-ან** „გამოიდა-რა, ცა მოიწმინდა“.

ლაზური ფხ- და სვანური ფხ- ერთმანეთს კანონზომიერად შე-ესატყვისებიან. გ. კლიმოვმა საერთო-ქართველური ფუძე-ენისთვის აღადგინა \*მე-ფხ-ე რქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 480).

სავარაუდოა, რომ აღნიშნული ლექსემების ძირს უკავშირდება სვანური ფხუ (ფხუ-ჟრ-უ) — სითბოსადმი მიძღვნილი დღესასწაუ-ლი. პირველი თუეთუნე ფხუ „თეთრი ფხუ“ იწყებოდა ყველიერის ორშაბათს (მთვარის დღეს) და მეორე — **მეშე ფხუ** „შავი ფხუ“, ასევე დიდმარხვის ორშაბათს (მთვარის დღეს) და გრძელდებოდა მთელი კვირა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ჭავახიშვილი 1979** — ივ. ჭავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, ტ. I თბილისი, 1979.
2. **თოფურია 1979** — ვ. თოფურია, შრომები, III, 1979.
3. **ნიუარაძე 2007** — ბ. ნიუარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2007.
4. **ჩიქობავა 1942** — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
5. **ჩუხუა 2000-2003** — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.
6. **ლიბარტელიანი 1994** — ა. ლიბარტელიანი, სვანურ ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბილისი, 1994.
7. **ფენრიხი, სარჯველაძე 2000** — პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

8. **ბარდაველიძე 1939** — ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი I, ახალიწლის ციკლი, თბილისი, 1939.
9. **სარაძე 1939** — რ. სარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, 1939.
10. **თოფურია, ქალდანი 2000** — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.
11. **ჭეგლ 1950-1964** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1950-1964.

### **Elisabed Gazdeliani**

#### **Towards the structural-semantic analysis of the vocabulary connected with *mtvare* ‘moon’ in Svan**

##### **Summary**

The paper represents an attempt of a structural and semantic analysis of *mtvare* ‘the moon’ in Svan.

It was cleared out that an order of Svan man’s life according to a moon calender is preserved even today. Though Pagan and Christian rituals are often coincide to each other.

## მედეა საღლიანი

### სგანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში დაფიქსირებული ზოგი არქაული სიტყვის წარმომავლობის შესახებ

ფრაზეოლოგიზმის განმსაზღვრელი ნიშანი, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, ისაა, რომ შემადგენელი ელემენტების ფორმალური დამოუკიდებლობის ფონზე ახასიათებს შინაგანი მთლიანობა. სწორედ ამ შემადგენელი ელემენტების ურთიერთკავშირისა და მთლიანად ლექსიკასთან მიმართების მიხედვით გამოყენ ოთხ ძირითად ჯგუფს (Степанов 1975, 56):

1. ფრაზეოლოგიური მთლიანობა, როცა შემადგენელი ნაწილების კავშირი მაქსიმალურია და ვერ ხერხდება მათი მნიშვნელობების მიხედვით ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის მოტივაციის დადგენა, ასეთ შემთხვევაში ფრაზეოლოგიზმის ერთი ან ორივე შემადგენელი ელემენტი გაუგებარია (მაგ., ქართ.: იხტიბარს არ იტეხს, აბრუს არ იტეხს, ბაიბურში არაა და ა. შ. — იხტიბარი, აბრუ, ბაიბური თანამედროვე ქართველისათვის გაუგებარია);

2. ფრაზეოლოგიური ერთიანობა, როცა ისინი სემანტიკურად განუყოფელია, თუმცა ყველა შემადგენელი სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა, მაგრამ არაა მოტივირებული (მაგ., ქართ.: პირს მიჰყოფს — გალანძლავს; ენას შეუბრუნებს, სიტყვას შეუჩევს — შეეპასუხება...);

3. ფრაზეოლოგიური სიტყვათშეერთება: ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა, მართალია, შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობათა ჯამს არ უდრის, მაგრამ მოტივაცია გასაგებია. მაგ., ქართ.: ენას ზურგში იტებუნებს, ენით ზურგს იფხანს, თავზე ნაცარს იყრის. პირველი ორი მაგალითი ხაზს უსვამს იმას, რომ ვიღაცას გრძელი ენა აქვს და ამიტომ ბევრს ლაპარაკობს; მესამე მაგალითის მოტივაცია კი აწ დავიწყებულ სახალხო ჩვეულებაში მდგომარეობს. როგორც ცნობილია, ძველ საქართველოში დიდი მწუხარების ნიშნად მართლაც იყრიდნენ თავზე ნაცარს;

4. ფრაზეოლოგიური გამონათქვამი, როცა გამოთქმა ომონიმურია: გვხვდება თავისუფალ შესიტყვებადაც და ფრაზეოლოგიური მნიშვნელობითაც. კოვზი ნაცარში ჩაუგარდა — შეიძლება აღნიშნავდეს რეალურ სიტუაციასაც — მართლა ჩაუვარდეს ვინმეს კოვზი ნაცარში, მაგრამ ამავე გამონათქვამს ქართულში აქვს ფრაზეოლოგიური მნიშვნელობაც — იმედი გაუცრუვდა, რასაც ელოდა, არ გამოვიდა. რო-

გორც ჩანს, მოხდა თავისუფალი შესიტყვების ფრაზეოლოგიზაცია. გამოდის, რომ ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში აღნიშნულმა გამოთქმამ ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა შეიძინა ანუ დამატებითი ნიუანსით დაიტვირთა (ცოცანიძე 1999, 219-220)<sup>1</sup>

ფრაზეოლოგიზმის აღნიშნული ოთხი სახეობიდან ნიშანთაგან ჩვენ აქ მხოლოდ პირველ ჯუფს შევეხებით. ეს არის ფრაზეოლოგიური მთლიანობა, როცა შემადგენელი ნაწილების კავშირი მაქსიმალურია და ვერ ხერხდება მათი სემანტიკის მიხედვით ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის მოტივაციის დადგენა.

ის, რომ ბევრი სვანური იდიომის ახსნა დღეს უკვე თითქმის შეუძლებელია, ამისი მიზეზი, ალ. ონიანის აზრით, უნდა ვეძიოთ იმაში, რომ სათანადო მოვლენა, რომელიც არაიმე ისტორიულ ფაქტთან არის დაკავშირებული, ისტორიაში არ არის ფიქსირებული. ვინაიდან მათი წარმოშობის საფუძველი არ ვიცით, ამიტომ მათი ეტიმოლოგის გარკვევაც, რასაკვირველია, ჭირს (ონიანი 1954, 139).

ჩვეულებრივ, ფრაზეოლოგიზმები, როგორც ცნობილია, ხალხის წიაღში იბადება, რომელიც თავის მეტყველებაში ამკვიდრებს მახვილ-გონივრულ, ხატოვან გამონათქვამებს. მათი პირველწყარო ძირითადად მწერლები არინ, თუმცა ხშირ შემთხვევაში სრულად გაურკვეველია, კონკრეტულად საიდან გაჩნდა ან დამკვიდრდა ესა თუ ის გამონათქვამი. ცხადია, უმწერლობო ენებში ბევრად უფრო რთულია ამა თუ იმ გამონათქვამის პირველწყაროს მიგნება წერილობითი წყაროების უქონლობის გამო.

ისევე, როგორც ბევრ სხვა ენაში, სვანურშიც მოიპოვება მთელი კორპუსი ისეთი ფრაზეოლოგიზმებისა, რომლებიც ქმნიან მთლიან სტილისტურ პლასტს და მათ სხვა ენაში ანალოგი არ მოექმნებათ. სწორედ ამგვარ იღიომატურ გამონათქვამებზე გვქონდა საუბარი საენათ-მეცნიერო ძიებანის XXXIII ნომერში დაბეჭდილ ერთ-ერთ სტატიაში „სვანური ენისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური იდიომები ანუ იდიომატური ლაკუნები“ (2011 წ.). აღნიშნულ სტატიაში შეძლების-დაგვარად წარმოვადგინეთ სვანურ ფრაზეოლოგიზმებში დაფიქსირებული ისეთ ლექსიკური ერთეულები, რომელთა ეტიმოლოგიის დადგენა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ისინი

<sup>1</sup> ეს კლასიფიკაცია სრულყოფილი არაა, მაგრამ, რაპი უკავესი ჯერჯერობით არ ჩანს, ჩვენ მას ვემჟარებთ.

შემონახულია გაქვავებულ გამონათქვამებში და დიდია მათი მნიშვნელობა ენის ისტორიის კვლევა-ძიებისას (მაგ.: **ლტპჭენდ ლიგნე** „ყოჩა-ლი, სწრაფი“, **კიგბერ ახბეკ** „ჩააცილდა, ჩააჯინდა“, ღოს ხოსიპ „**ცემუტავს**, მოუსვენრობს, საკუთარ ტყავში ვერ ეტევა“, **ქაბაბდშ ჭიჭუპრდეთსიპდა** „არ მოიხარშა, დიდი დრო დასჭირდა“, **გელა ლახტ ენცხიპ** „ბევრი იარა, ცხრა მთა გადაიარა“, **სერიგაგას უი** ხაგ „აწრიალებულია, ვერ ისვენებს, სულ დადის“, **სგუპზდ ლიგნე** „ამოწყვეტა, ამოულეტა“, **ბოლეკდ ლიკედ** „ამოწყვეტა, ამოულეტა“, **მეკუმად ლიგნე** „გაფრთხილება“, **ჰადლოდეუს ლიგნე** „ხმაური, აურზაური, ჩხუბი“, **წინალდ ი წირკამპლდ ლიბლოკე** „სრულიად მოსპობა, განადგურება“, ინდირკის ოსგემ! „უხვი სუფრა არ გავუშალო!“ ფისეგარგასიგოლუ ხარ ლაქუნ! „ჭოჭოხეთი იყოს მისი სამკვიდრო!“ **ორიონ-კორიონს ხაპიდ** „გაფანტა“, **სინტი-პინტის აჩადა** „გაიფანტნენ“, **სადარ-კუდარ ჭაჭაპრლექუა ხაპიდ** „გალანძღა, გათათხა“ და მრავ. სხვ.)<sup>1</sup>.

ამ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში მონაწილე სიტყვათა მეტი ნაწილი არქაულია და საერთო სიტყვათხმარებიდან გამოსული. ისინი გვხვდება, ძირითადად, მყარ შესიტყვებებში, — სხვა სიტყვებთან მშენდრო კავშირში. შესაძლოა, ამ არქაულ ფორმათაგან ზოგი უცხოური წარმოშობისაც აღმოჩნდეს.

თარგმანის თეორიისთვის ფრაზეოლოგიზმების ეტიმოლოგიას, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ფრაზეოლოგიური გამონათქვამის აზრის გადმოცემა და ამვედროლულად მისი ხატოვანების შენარჩუნებაა, რასაც, შესაბამისად, მთარგმნელის პროფესიონალიზმი და ნიჭიერება განაპირობებს.

ენათმეცნიერები ფრაზეოლოგიზმების თარგმნის სიძნელეს რამდენიმე მიზეზით ხსნიან:

1. ერთ-ერთი მიზეზი, როგორც უკვე ითქვა, ისაა, რომ ყოველ ენაში მოიპოვება მთელი კორპუსი ისეთი ფრაზეოლოგიზმებისა, რომ-ლებიც ქმნიან მთლიან სტილისტურ პლასტის და მათ სხვა ენაში ანალოგი არ მოექცებათ (ჩხვიმიანი 2004:82). ბუნებრივია, რომ სვანურ-შიც გვხვდება ბევრი ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელთაც შეუძლებელია სხვა ენაზე მოექცებნის ფრაზეოლოგიური შესაბამისობანი.

<sup>1</sup> აქ წარმოდგენილ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში დაფიქსირებული ზოგიერთი არქაული ლექსიკური ერთეულის წარმომავლობის დადგენა მეტნაკლებად შევძლით.

2. ფრაზეოლოგიზმების თარგმნის სიძნელის მეორე განმაპირობებელ ფაქტორად თვლიან ბევრი მათგანის ეროვნულ კოლორიტს, რომელშიც ასახვას პპოვებს ამ ენის მატარებელი ხალხის ცხოვრების ისტორია, გეოგრაფია, საყოფაცხოვრებო და კულტურული რეალიები, რომელთა დეკოდირება თარგმანის ენაზე ხმირად შეუძლებელი ხდება... (იქვე, 83). ტერმინ „რეალია“-ს თარგმანის თეორიაში ორნაირად იყენებენ: ერთის მხრივ, მასში გულისხმობენ ამა თუ იმ ერისათვის დამახასიათებელ ნებისმიერ ფაქტს (მატერიალური კულტურის საგნები, საკუთარი სახელები, გეოგრაფიული სახელწოდებები, ისტორიული მოვლენები და სხვ.) და, მეორე მხრივ, იგულისხმება ის სიტყვები და სიტყვათშეერთებები, რომლებიც სწორედ ამ ფაქტებს აღნიშნავენ.

ფრაზეოლოგიაში რეალიები, როგორც ცნობილია, აისახება ორი გზით: მისი აღმნიშვნელი შეიძლება იყოს **ფრაზეოლოგიზმის ცალკეული ლექსიკური კომპონენტი** ან **მთლიანი ფრაზეოლოგიური ერთეული**. ორივე შემთხვევაში ფრაზეოლოგიური ერთეული სპეციფიკური ეროვნული კოლორიტის მატარებელია, რაც განპირობებულია არა მარტო ლინგვისტური, არამედ ექსტრალინგვისტური ფაქტორებითაც (იქვე, 83-84).

აქვე უნდა შევწიშნოთ, რომ იდიომის განსაზღვრაში ზოგჯერ ისეთ ნიშნეულობაზეც არის ყურადღება გამახვილებული, როგორიცაა, მაგალითად, **ლექსიკური ან გრამატიკული არქაზმების არსებობა იდიომში**. აღნიშნულ საკითხზე საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული რ. პოპოვს, რომლის მოსაზრების თანახმად, ენაში ძველი ელემენტების შემორჩენის ერთ-ერთ მოქმედ ფაქტორს წარმოადგენს ფრაზეოლოგიზაცია. იგი ერთმანეთს უდარებს მონათესავე ენათა იდიომებს და დაასკვნის: „იგივეობრივი ფრაზეოლოგიზმების ჯგუფს ქმნიან ძირითადად ისინი, რომლებიც თავისი სტრუქტურაში არქაულ ელემენტებს შეიცვენ და წარმოშობით შედარებით ძველ ერთეულებს წარმოადგენ“ (პოპოვი 1956, 401).

მიუხედავად რ. პოპოვის ამ დასკვნისა, მეცნიერთა ერთი ნაწილი, არქაულ ერთეულებს არ თვლის იდიომისთვის სპეციფიკურ ნიშნად (ონიანი 1954, 241; თაყაიშვილი 1961, 26).

სვანური ენისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ იდიომებზე (resp. იდიომურ ლაკუნებზე) მუშაობისას ჩვენც ა. ონიანისა და ა. თაყაიშვილის თვალსაზრისი გავიზიართ და აღვნიშნეთ, რომ „ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში ფიქსირებული ლექსიკური და გრამატიკული არქაზმები არ უნდა იყოს მიზეზი მათი იდიომატურობისა, რადგანაც

საანალიზო ერთეულთა უმრავლესობა არ განიხილება როგორც არქა-იზმი“ (საღლიანი 2011, 232).

წინამდებარე ნაშრომში შეძლებისდაგვარად შევეცდებით სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში დაფიქსირებული ზოგიერთი არქა-ული ლექსიკური კომპონენტის წარმომავლობის გარკვევას.

სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში არსებული შესატყვი-სობათა გათვალისწინებით ზოგი ლექსიკური კომპონენტი საერთო-ქართველური დონის მონაცემი აღმოჩნდა, ზოგი მათგანი კი სხვა ენა-თაგან ნასესხები, რომელთაგან ზოგი უცვლელად შემოინახა სვანურმა, ზოგმა კი მნიშვნელოვანი ფონეტიკური ცვლილებები განიცადა. როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ნასესხებ ფორმათა მეტი წილი ქართულის გზით არის შემოსული სვანური ენის დიალექტებში. უფრო მეტიც, სვანურმა ბევრი ისეთი საერთოქართველური არქაული ფორმა შემოინახა ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში (იდიომებში, წყველის, დალოცვისა და მისალმების ფორმულებში), რომლებიც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში უკვე აღარ ფიქსირდება; ისინი, ძირითადად, ქართული ენის დიალექტებს შემორჩა.

1. **დრიზიშ ლილნე** „ხმის გამოცემა ძირს დაცემისგან, ზღართანი (ზედმის. — დრუზ-ვ-ის გაღება)“

... შმირმდ ... პნეუმილ ხოშაუსუახუიშ დაუ მშემშე ფოყ უიქაქა ი ეჭგუპრ ათდანდა დრიზ გიმ ლეუერე დეცეგიმდ ლიქუთუნ-დაბინე (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 261:31-33). „ამირანმა მოიქნია გვერდ-ზე უზარმაზარი ბაყბაყ დევი და იმისთანა ზღართანი გააღინა მიწაზე, რომ ცა და მიწა გაინძრა („ამირან-მა მოიქნია უზარმაზარი დევ-ი ბაყ-ბაყ-ი თეძოს ზემოთ და იმ-გვარ-ი დრუზ-ვ-ა გაიღო მიწის ზემოთ, რომ ცა-მიწამ ქანაობა დაიწყო“)

ქართ. **დრუზ-ვ-ა** „ღონივრად, ძლიერად დარტყმა (კეტისა, ქვი-სა...)“ : მეგრ. **დრუზ-უ-ა** „დრუზვა; სროლა, მორტყმა (ქვისა და მისთ.)“ : სვან. (ბქ.) ლი-დრენზ-ე, (ბქ.) ლი-დრენზ-ე „ღონივრად, ძლიერად და-რტყმა“, (ბქ.) მგ-დრენზ-ე, (ბქ.) მგ-დრენზ-ე „გამლახავი“, (ბქ.) ნა-დრენზ, (ბქ.) ნა-დრენზ „ნაცემი“, **დრიზ-იშ ლილნე** „ღონივრად, ძლიე-რად დარტყმა“.

ს.-ქართვ. \*დრუზ- „დარტყმა“ → ქართ. **დრუზ-** : მეგრ. **დრუზ-** : სვან. **დრენზ-** ← \*დრიზ- ← \*დრუზ- ← \*დრუშ- (საღლიანი 2006, 41).

2. **ლაპტენდ ლგგნე** „ყოჩალი, სწრაფი (ზედმიწ. — სალამურად მ-ღ-არ-ი)“

ალ ბეჭშუ ლაპტენდ ლგგ (ბქ.) „ეს ბავშვი ძალიან ყოჩალია||სწრაფია („ეს ბავშვი სალამურად ღგ-ა-ს“)

**ლარჭენდ მგხყე** (ბქ.) „ხალხის ყბაში ჩავარდნილი სახელგატეხილი ქალი (ზედმიწ. — სალამურად მოწყობილი||გაკეთებული)“

**სოფლიშ ლაპტენ ეცხუარდ თხუმოლუ ლახბგრლას** (ლხმ.) „სოფლის სალაყბოდ გამხდარმა ქალებმა ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალონ („სოფლ-ის სალამურგმა“) ცოლებმა თავსამც დააბრალონ“).

ქართ. **ლელ-**, **ლელ-ი**; **ლერ-წამ-ი** : ზან. (მეგრ.) **ლარ-**, **ლარ-ჭამ-ი/ლარ-ჭემ-ი** „ლერწამი“: სვან. **ლაპტენ||ლარ-ჭენ** „სალამური“.

ქართულ-მეგრული ენების მასალა შეაბირისპირა გ. როგავაშ (1945, 231), ხოლო ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის \***ლელ-**, \***ლელ-წამ-** (ეცკЯ, 120-121); \***ლერ-წემ-არტეტიპები** ოღადვინა გ. კლიმოვაშ (1998, 108-109).

ჩვენი აზრით, ქართულ-მეგრულ ფუქეებს უნდა დაუკავშირდეს სვანური **ლაპტენ||ლარ-ჭენ** „სალამური“, რომელიც იდიომატურ გამოთქმებშია შემორჩენილი. ქართული **ლელ-წამ-ი||ლერ-წამ-ი-ს** შესატყვისი მეგრული **ლარ-ჭემ-ი**, ს. მაკალათიას თქმით, სწორედ უძველესი მეგრული საკრავის სახელწოდებაა.

სონორ თანხმოვანთა **ლ/ჩ**, **მ/ნ** მონაცვლეობა ქართველური ენებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ფონეტიკური პროცესია, ხოლო, რაც შეეხება სვანურ ფუქეში გამოვლენილ ჲ-ს, იგი სახ. ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შედეგია. ქართ. ჲ : ზან. ჲ : სვან. ჲ, ქართ. ე : ზან. ა : სვან. ჲ [უმლაუტიანი ჲ (**ლაპტენ**) სვანურში საერთოქართველურ ე-ს ასახავს (\***ლერჭემ** → **ლაპტენ**)].

სტრუქტურულადაც და სემანტიკურადაც ქართულ-სვანურ-მეგრული ფუქეები სრულ იდენტურობას ამჟღავნებენ.

სვან. **ლაპტენ||ლარ-ჭენ** „მოთქმით დასატირებელი“, **ლირეჭალ||ლილჭალ** „დატირება, მოთქმით ტირილი“ ფორმებიც სწორედ აღნიშნული ფუქიდან (**ლაპტენ**) უნდა მომდინარეობდეს, რაზეც მოწმობს სვანეთში დღემდე შემორჩენილი მიცვალუბულის ჭიანურზე დატირება.

ასევე საინტერესოა შემდეგი გამოთქმაც: **ლაჭეშ ლიქუისგ** „დატირება ხმით, სიტყვიერად (ზედმიწ. — დატირების თქმა)“

უოშუშდღ ლაჭეს რექინე, ეჩშელდს ტლტს იყერ ჯი ო მერმე ხეხუშარი (ბქ., სვან. ქრესტ., 1978, 182:19-20) „რამდენჯერაც სიტყვიო-რად დაიტირებს, იმდენჯერ ხელს შემოირტყამს თვითონ და სხვა ქალებიც („რამდენჯერაც დატირებას იტყვის, იმ რაოდენობას ტოტ-ს ირტყამს თვითონ და მე-ორ-ე ცოლებიც“).

რა თქმა უნდა, ალნიშნულ გამოთქმაში (**ლაჭეშ ლიქუის**) და-ფიქსირებული ლაჭე-ფორმაც საერთოქართველური ფუძის შემცველია (სვან. **ლაჭე- ← \*ლეჭე- ← \*ლელ-წამ-ი||ლერ-წამ-ი**).

ს.-ქართვ. **\*ლელ-**, **\*ლელ-წ1ამ-** „ლერწამი, სალამური, დატირება“ → ქართ. **ლელ-წამ-ი||ლერ-წამ-ი** „ლერწამი“ : ზან. (მეგრ.) **ლარ-**, **ლარ-ჭამ-ი/ლარ-ჭემ-ი** „ლერწამი; უძველესი მეგრული საკრავის სახელწოდება“ : სვან. **ლარ-ჭენ||ლარ-ჭენ** „სალამური“ ← **\*ლერჭემ** ← **\*ლელჭემ** ← **\*ლელწემ** ← **\*ლელ-წ1ამ-** ← **ლელ-წამ-**.

3. **ზისხიშ კლეთ||ტოლეპ** „სისხლის კოლტი“ გამოიყენება წყევლის ფორმულებში. მაგ.:

**ზისხიშ კლეთშრს ესეროლუ პტხუნე!** (ბქ.) „სისხლი არწყიერ („სისხლ-ის კოლტ-ებ-ს-ო-მცა არწყევს!“)!“

**ზისხიშ ი ტოლეპუშოლუ ეჭტია ისგუ ნამუნ-ნათუნ!** (ბქ.) „შხამად შეგერგოს ნაჭამ-ნასვამი („სისხლ-ით და კოლტ-ით-მცა გირწყევია|გიბრუნებია შენი ნაჭამ-ნასვამი!“)!“

სვანურ წყევლის ფორმულაში დაფაქსირებული **კლეთ||ტოლეპ**, ჩვენი აზრით, უნდა მომდინარეობდეს ქართული **კოლტი**-სვან „შედედებული სისხლი“ შემდეგი ფორნეტიკური პროცესების გავლით:

ბქ. **\*კოლთ > კლეთ**

ქართ. კოლტ-ი

ბქ. **\*კოლტ > \*კოლეტ > ტოლეპ<sup>2</sup>**

<sup>1</sup> ბალქვემოურში, როგორც ცნობილია, **ხეხუ** ცოლის აღმნიშვნელი სოციალური ტერმინია, რომლის მრავლობითი რიცხვის ფორმაა **ლაჭეტა**. **ხეხუშარ** ფორმაში კი იგულისხმება ქალები და არა ცოლები, როგორც ეს მოსალონელი იყო.

<sup>2</sup> სინამდვილეში, ქართ. კოლტს უნდა მოეცა სვანურში ჯერ **\*კუელტ**, შემდეგ კი **\*ტუელკ** თუმცა ეს პროცესი არ განვითარებულა.

ს.-ქართვ. \*კოლტ- → ქართ. კოლტი : ერთის მხრივ, სვან. ტო-ლეკ ← \*კოლეტ ← \*კოლტ, და, მეორე მხრივ, ბქ. კლეთ ← \*კელთ ← \*კუელთ ← \*კუელტ „შედედებული სისხლი“.

შდრ. მეგრ. ბერთი „სისხლის კოლტი, ნაფლეთები“, თუმცა მე-გრულისთვის ეს მნიშვნელობა მეორეულია. ბერთი იგივეა, რაც ქართ. ბელტი და მეგრულშიც სწორედ ეს მნიშვნელობა არის მისთვის ძირი-თადი.

4. **სკორმელეთხენ ისგიდრაშლი** (ბქ.) „მუქი, უშნო თვალებით ყურება (ზედმიწ. — სკვარამ-ი-დან ყურება)“

იმუი როჯ სკორმელეთხენ ისგიდრაშლი ალ ზურალ (ბქ.) „რა უშნოდ იყურებაო ეს ქალი („როგორო სკვარამ-ი-დან იყურება ეს ქა-ლი“).“

სკორმელეთ ფიქსირდება ასევე წყევლის ფორმულებშიც. მაგ.:

ათხევ სკორმელეთოლოშუ ომჩედეხი! (ბქ.) „ჭანდაბაშიც წა-სულხარ („ახლაც სკვარამ-ის-კენ-მცა წასულხარ!“)!“ სკორმელეთო-ლოშუ ედსკინა! (ბქ.) „ჭანდაბაშიც წასულხარ („სკვარამ-ის-კენ-მცა გ-ი-სკუპ-ი-ა!“)!“

რა შეიძლება ითქვას აღნიშნული ლექსიკური ერთეულის შესა-ხებ?

სანამ სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში დაფიქსირე-ბულ სკორმელეთ ფორმის ეტიმოლოგის გადრკვევაზე გადავალთ, მანა-მდე რამდენიმე სიტყვით შევეხოთ საერთოქართველოურ \*წკვარამ-ფორმას,

სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, გ. კლიმოვის მიერ ერთმანეთთან არის შეპირისპირებული: ქართ. წკვარამ- წკვა-რამ-ი<sup>1</sup> „სიბნელე, უფსკრული“ და ზან. (მეგრ.) წკურუმ- წკურუმ-ი „სიბნელე, უფსკრული“, რის საფუძველზეც აღდგენილია საერთოქარ-თველური არქეტიპი \*წკვარამ- (კლიმოვი 1985, 177; კლიმოვი 1998, 299), რომელსაც ჩვენ მიერ დაემატა ჩოლ. წკორებ „უფსკრული, ხრამი“.

<sup>1</sup> მეგრულში პარალელურად წკვარემ-ი/წკვერემ-ი ფორმებიც დასტურდება (იხ. მ. ჯიქია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 2002).

რაც შეეხება სვანურ დიალექტებში გავრცელებულ ფორმებს მუწყუნტირ (ბზ.) და მუწყუნტირ (ბქ.) „სიბნელე, წყვდიადი“, მათი საერთოკართველურ დონეზე აღდგენა თითქოს შეუძლებელია.

ჩვენი აზრით, იდიომატურ გამოთქმაში შემონახული ბქ. **სკორ-მელეთ** < ქართ. (იმ., გურ.) წ/სკვარამ-ი „უფსკრული, ქვესკნელი“ ფორმისგან, რასაც ადასტურებს ჩოლურული ოსკურმეთ „უკუნი, სიბნელე“ ფორმის ასებობაც.

სავარაუდოდ, საანალიზო ქართულ-სვანურ ფუძეთა ფონეტიკური ტრანსფორმაცია შემდეგი სახით წარმოგვიდგენია:

ქართ. (გურ.) სკვარამ-ი > სვან. (ბქ.) \*სკვარამ-ეთ > \*სკვარმ-ელ-ეთ > **სკორმ-ელ-ეთ**

ქართ. (გურ.) სკვარამ-ი<sup>2</sup> > სვან. (ჩოლ.) \*სკვარამ-ეთ > \*სკორამ-ეთ > \*სკორმ-ეთ(ტრანსიმია მგონი სადღაც) > ოსკურმეთ.

ქართ. სკვარამ-იდან მიღებულ \*სკორმეთ-ში, როგორც ჩანს, ო-ს მეტათეზისმა გამოიწვია თანხმოვანთვასაყარად უ-ს გაჩენა. ვფაქრობთ, ფონეტიკური პროცესები ბოლომდე არ განვითარებულა, თუმცა საერთოქართველური ფუძის აეკონსტრუქცია პირობითად მაინც შესაძლებელია (\*სკვარამ-).

5. **სგურზდ ლიგნე** (ბქ.) „ამოწყვეტა, ამოჟლეტა (ზედმიწ. — წყვეტად დგ-მა)“

ახმითქუენესერ ეშხუ მარე ი ხეხუ ი გეზლირ სგურზდ ესერ ოთვენა (ბქ., სვან. პრ. ტექსტი, II, 1957, 272:30-31) „ერთი კაცი შეეჩვია თურმე და ცოლი-შვილი („ცოლი და შვილები“) ამოუწყვეტაო („შენაჩვევაო ერთი კაცი და ცოლი და შვილი წყვეტადო და-უ-დგ-ია“)

ზან. (მეგრ.) ზეუნჯ-, ზეუნჯ-უნ-ს „წყვეტს“, გო-ზეუნჯ-ილ-ი „გაწყვეტილი“, შდრ. გგმო- ზეუნჯ-ილ-ი (მიკროტოპ. სოფ. ქვალონში) ← ეტ. „ჩამონაწყვეტი, ჩამოწყვეტილი“ : სვან. **სგურზ-** || **სგურზ-**

<sup>1</sup> სვანურში სიბნელისა და უკუნეთის მნიშვნელობით დასტურდება, აგრეთვე, შემდეგი ლექსიკური ერთეულები: **მუტკუნი** (ბზ.), **უტკუნ**, **უტკუნი** (ქს.). იგივე ფუქტის ბალსქვემოურმა დიალექტში შემოინახა როგორც იდიომატურ გამოთქმებში (უტკუნდ ლისდი „თვალის დაუხამაძებლად ყურება“, ასევე წყველის ფორმულებში (უტკუნდ შოლტ აგრშენა „მომკვდარიყავა!“)!“ ქართულ-სვანურ ფუძეთა სტრუქტურულ-სემანტიკური იდენტურობა ეჭვის არ იწვევს. სვან. **მუტკუნი||უტკუნი||უტკუნი** ← ქართ. უტკუნი.

<sup>2</sup> საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართულში მოსალოდნელი \*სკვარამ-ეთ-ი შემოინახა სვანურმა.

, სგურიზე „წყვეტის“, უ’ონსგური „ამოვწყვიტე“, სგურიზა „ქლეტდა“, ლი-სგურიზე „ქლეტა, წყვეტა, მოსრვა“ (ჩუხუა 2000-2003, 199-200), შდრ., ასევე, იდიომატურ გამოთქმაში დაფაქსირებული სგურიზე.

ქართული შესატყვისის უქონლობის გამო პროფ. მ. ჩუხუა საერთოქართველური არქეტიპის რეკონსტრუქციისგან თავს იკავებს (იქვე).

6. **ძგლთე ლიზი**<sup>1</sup> „სადმე შორს წასვლა (ზედმიწ. — ბზიფ-ის-კენ სვლა)“

ძგლთე ნოსა აჩე! (ჩოლ.) „შორს არ წახვიდე ერთბაშად (ზედმიწ. — ბზიფ-ის-კენ ნუ-არ წახვიდე!)!“

სვან. (ჩოლ.) ძგლ < ქართ. ბზიფ-ი აფრიკატიზაციისა [ზ > ბ (შდრ.: ბზ. ინძგრფაშა < ქართ. აზარფეშა, ბზ., ჩოლ. როძგ < ქართ. როზგ-ი, სვან. ძაფრა „დარდი, ჯვრი“ < ქართ. ზაფრა და ა. შ. — სალლიანი 2005, 125-126)] და ანლაუტისეული ბ თანხმოვნის დაკარგვის შედეგად. ქართულ ფუძისეულ ი ხმოვანს კი რედუქციის პოზიციაში მძიმე ბირთვში, როგორც მოსალლოდნელი იყო, გ ხმოვანი შეენაცვლა.

7. **ჭერდიგდ ლიგნე** „გათელვა, დატკეპნა [ნათესისა, ბალახისა... (ზედმიწ. — ჭადრაკ-ად და-დგ-მ-ა)]“

ფურსრდ ლარა ჭერდიგდ ადგენეს (ბქ.) „ძროხებმა („ფურ-ებ-მა სათიბი ჭადრაკ-ად და-დგ-ე-ს“)“

ლაჭერდიგალდუ შმედებლი ისგუ გუეშ ი ზაქდიშ ორისგანუ აკპენა! (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 57:5) „საშაიროდ გამხდარიყოს შენი ცხოვრება და მომავალი წელი მიწაში გაგეტარებინოს („სა-ჭადრაკ-ო-დ-მცა დარჩენილა შენი საქმე და მომავლისა“ მიწაშიმც მოგსწრებია!“)!

საანალიზო ლექსემა სვანურში შემოსულია ქართულიდან სხვა-დასხვა ფონეტიკური პროცესების გავლით, კრძოლ: ბირველ რიგში უნ-და მომხდარიყო აუსლაუტისეული გ-ს გამულერება, რაც ხშირი მოვლენაა სვანურში სესხების პროცესში (შდრ.: სვან. ჭაბიგუ < ქართ. ჭაბუკი, ჭაკ-ი, კოშგაკუეშგ < ქართ. კოშკ-ი და სხვ. — სალლიანი 2005, 46-49), შემდეგ მოხდა მეტათეზისი, რის შედეგადაც ინდაუტისეული (ძირეული) რ გადავიდა დ-ს წინ, ქართულ ფუძისეულ ა ხმოვანს კი რედუქციის პოზიციაში მძიმე ბირთვში გ ხმოვანი შეენაცვლა.

<sup>1</sup> აღნიშნულ გამოთქმას თან ახლავს სარკაზმა.

ასახსნელია აუსლაუტისეული ० (შდრ., ასევე, იმავე ძირის შემცველი სვან. ლ-ჭერდ-ი-გ-ალ „კარტის თამაში“ და ჭერდგ-ბრ „კარტები“!).

სტრუქტურული იდენტურობა ეჭვს არ იწვევს, სემანტიკური გადაწევა კი მინიმალურია. რაც შეეხება ფუძის ფონეტიკურ ტრანსფორმაციას, იგი შემდევი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: ქართ. ჭადრაკი > სვან. \*ჭადრაგ > \*ჭარდაგ > ჭერდაგ.

8. **ნაკუარცხულდ დემეგ ხაყა** „კაპიკად არ ღირს, უვარგისია“ შესაძლოა, ორი მნიშვნელობით გავიგოთ: 1. „**ნაკვერცხლ-ად** არ ვარგა“, 2. „**ნასროლ ტყვიად** არ ვარგა“. თუკი პირველ მნიშვნელობასთან დავაკავშირებთ, მაშინ საჭმე გვექნება სესხებასთან, რაც, ჩვენი აზრით, საეჭვოა. ნასროლ ტყვიასთან დაკავშირება კი უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩინია, ვინაიდან ის გასროლის შემდეგ უსარგებლო ნივთად იქცევა.

9. **მერემ გუნით** „ხროვა, ჯგუფი (ზედმიწ. — ღრუბლის გუნდ-ი)“

ხილთე ბოფშარ მერემ გუნითშალ ესერ ანლრიხ (ბქ.) „ხილის მოსაპარად, დასაქრეფად ბავშვები ჯგუფურად მოდიანო („ხილ-ეს-კენ ბავშვ-ებ-ი ღრუბლი-ს“ გუნდ-ი-ვით-ო მოდიან“)“

ხოხურა მეროლ ლას იწუენის დეცქა, ქად ხსდ ითნის ი ჩუღ ხსდ თუეფნის, მერემ გუნითს ეგის ხატულის (ბქ.) „პატარა ღრუბლები რომ („თუ“) გამოჩენდებიან ცაზე, გამოჩენითაც უცებ ჩნდებიან და გაქრობითაც რომ უცებ ქრებიან, ღრუბლის გუნდს იმას ეძახიან („პატარა ღრუბლები თუ ჩნდებიან ცა-ზე, ქეც სწრაფად ჩნდებიან და ქეც სწრაფად იკარგებიან, ღრუბლის გუნდ-ს იმას ეძახიან“).“

სვან. (ბქ.) **გუნით** < ქართ. გუნდ-ი (ქართულის აუსლაუტისეული დ სვანურში გამუდერდა, ხოლო სახელობითი ბრუნვის მორფემის დაკარგვამ გამოიწვია ფუძისეული უ ხმოვნის უმლაუტი).“

10. **კიგბერიშ ლიბკინე** (ბქ.) „ძალის დატანება, გამოტეხვა სხვა-დასხვა მეთოდებით; კედელთან მიყენება (ზედმიწ. — ხის მორისი||კაკიბერა-ს მიბჯენა)“

<sup>1</sup> ქართულიდანა ასევე შემოსული ლი-ბოლქუ-აუ-ალ „ბანქოს, კარტის თამაში“ და ბოლქუს „კარტები, ბანქები“.

**შმირმდ კიკბერ ახბერ ღდაუ მშემბეს**<sup>17</sup>: „ქ'ოლტ<sup>2</sup> ხტქუე, მიჩა  
ბაბშ თე იმეგ ხოზ, ოდო ახხედესერ ხოლა მეშეე ურშტლდან დატს  
ლოშებე ლადელ!“ (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 261:33-35) „ამირანი  
ჩააცივდა დევს: „მითხარიო, ბაბუაჩემის თვალი სად გიდევს, თორემ  
უკანასკნელი დღე დაგიდგებაო ცუდ შავ აფერისტ დევს („ამირან-მა კა-  
კიკბერა მიაბგინა დევ ბაყბაყ-ს: „უთხრამცა, მისი ბაბ-უ-ის თვალ-ი სად  
უ-ძ-ევ-ს, თორემ მოსვლიაო ცუდ შავ უხსენებელ დევ-ს უკანა დღე!“)“

ლეჩხუმურ დიალექტში დაფიქსირებული კაკიბერა „სამზარეუ-  
ლო სახლში შუაცეცხლის პირდაპირ ზევით გადებული დირე, რომელ-  
ზედაც საქვაბე ჰქიდია“, სახნათმეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია  
სვანურიდან შეთვისებულად, რაც სვანური ფუძის ისტორიისთვის ძალ-  
ზე ფასეულია (ჩუხუა 2000-2003, 126).

სვანური კაკბერ ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექ-  
სიკონში“ განმარტებულია, როგორც გაღაკეტილი კარის შესატეხი ხის  
მორი (ძველად), დღევანდელი მნიშვნელობით კი ძალას გამოხატავს.  
ცხადია, მისი ეს მნიშვნელობა (ძალა) მეორეულია, იგი გადატანითი  
მნიშვნელობითაა გამოიყენებული.

ქართულ-სვანურ („სამზარეულო სახლში შუაცეცხლის პირდა-  
პირ ზევით გადებული დირე, რომელზედაც საქვაბე ჰქიდია“ და „გადა-  
კეტილი კარის შესატეხი ხის მორი“) ლექსმათა შორის საზიარო მნიშ-  
ვნელობის დანახვა საკმაოდ ადვილია. მათ აერთიანებთ დ ი რ ე ს, მ ო  
რ ი ს საერთო სემანტიკა.

ქართ. (ლექს.) კაკიბერა > სვან. \*კაკიბერ > \*კაკიბერ > კიკბერ.  
საანალიზო ფუძეთა ტრანსფორმაცია საგესბით კანონზომიერია. სვანუ-  
რი ფუძის აუსლაუტში (კიკბერ) ნულოვანი რეფლექსია, ვინაიდან სვა-  
ნურისათვის ასეთ პოზიციაში ხმოვნის მოკვეცა დამახასიათებელია.

<sup>1</sup> შენიშვნა: საინტერესოა სვანურ ზღაპრებში დაფიქსირებული ღდაუ მშემბე ლექსემის  
წარმოშობის გარკვევაც. ჩვენი აზრით, მშემბე იგივე, რაც ქართული ბაყბაყ-დევ-ი.  
ქართ. ბ → სვან. ბ (შდრ. ქართ. ბინჭველი-ი „ჭიანჭველა“ : სვან. ბგრშკ, ქართ. ბეჭ-ი, სა-  
ბეჭ-ურ-ი : სვან. მაშკი|მაშკ „ბარკალი, ბარძაყი“ — ჩუხუა 2000-2003, 150). კომპოზიტის  
ორივე შემაღვენელი ხმოვანი უმღლაუტიზებულია. მეორე კომპოზიტის ა ხმოვნის  
უმღლაუტის მიზეზზ, რა თქმი უნდა, დაკარგული სახ. ბრუნვის ნიშანია, რაც შეეხება  
პირველი კომპონენტის პ ხმოვანს, იგი, როგორც ჩანს, იმავე კომპონენტის (\*ბაყ-ი|მაყ-ი)  
სახ. ბრუნვის ნიშანის დაკარგვის შედეგია.

<sup>2</sup> სვანური პროზაული ტექსტების II ტომში, მორფემათა ზღვარზე, აპოსტროფი  
გამოტოვებულია.

11. **მარგიმუში ლიტენე** (ლშხ., ჩოლ.) „შხამის ჭმევა (ზედმიწ. — სნეულების ჭმევა)“

**ალეს მარგიმუშს ლოქ ხამნე** (ლშხ.) „ამას შხამს გაჭმევო („ამას სნეულებასო აჭმევს“)“

**მპრგიმიშული დ ლიპედ** (ბზ.) „შხამად შერგება (ზედმიწ. — სნეულებად მოსკლა)“

**იმუშავდენ ხიპარტუშული, ნომმაული ლაპმამა სერ ი ალა მპრგიმიშულუ ეჭპედა!** (სვან. ქრესტ., 1978, 56:30) „რასაც სანსლავ, მეტად აღარ გეჭამოს და ეს შხამად შეგერგოს („რასაც კი ლორმუცელობ, ნუმცა გიჭამია მეტი და ეს სნეულებადმცა მოგსვლია!“)“

**მპრგიმდე/მპრგიმიშდ ლისპე** (ბქ.) „შხამად შერგება (ზედმიწ. — სნეულებად ტრიალი)“

**ჩუ მა ლაშემ, ეჭი მპრგიმდოლუ/მპრგიმიშდოლუ ედსიპენა!** „რაც კი ჭამე, ყველაფერი შხამად გექცეს („ქე რაც ჭამე, ის ყველა სნეულებადმცა გუცევია!“)“

ჩვენი აზრით, სვანური მარგიმ/მარგიძ ნასესხები უნდა იყოს ქართულიდან, კერძოდ, თუშური დიალექტიდან, სადაც მარგი — თხის სნეულებას აღნიშნავს. საინტერესოა **მარგული** ფორმაც, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ნიშნავს წყლული უმ(რ)თელუბელი. სვანური საანალიზო ლექსების აუსლაუტისეული მ-ს საკითხი გასარკვევია, რომელიც შესაძლოა, ფონეტიკურ ნიადაგზე იყოს გაჩენილი, თუმცა ორ გამოვრიცხავთ, რომ ეს მ თრიუმიანობის წარმომქმნელი ელემენტი იყოს.

ლაშხურ-ჩოლურული საანალიზო ფორმა შემდეგნაირად დაიშლება: **მარგი-მ-უშ-ირში** (ლიმნე) — მარგ-ი-ს-ის-ირშ ჭმევა. როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაც ცნობილი, სინქრონიულად ეს მ ბრუნვის ნიშნის შემადგენელ ელემენტად უნდა მივიჩნიოთ და, შესაბამისად, უნდა გამოვყოთ ნათესაობითი ბრუნვის მორფემის -მუშ ალომორფი (ისევე, როგორც ხმოვანთა ერთ ნაწილზე დაბოლოებულ სახელებთან -ემიშ და -მიშ ალომორფები). ზემოსვანურ დიალექტებში -მიშ ალომორფი გამოიყოფა, რომელსაც თან ერთვის ვითარებითი ბრუნვის ნიშანი -დ (მაგ.: **მპრგიმიშული დ ლიპედ** (ბზ.) „შხამად შერგება“, **მპრგიმდე/მპრგიმიშდ ლისპე** (ბქ.) „შხამად ქცევა“).

ქართულიდან ნასესხებ **მარგი** ფორმაში, ისევე როგორც დღემდე ცნობილ რამდენიმე ფუქტში (**თორ-ი**, „ორი“, **სემ-ი**, „სამი“, **ზე-ლიწადი**, ბქ. **ბურთ-ი**, „ბურთი“), ჩვენი აზრით, დაცული უნდა იყოს

სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი, რომელიც სვანურში იშვიათი გამონაკლისის გარდა ჩვეულებრივ მოკვეცილია (შანიძე 1957, 364; ოთფურია 1927, 285; საღლაანი 2005, 245).

სვანურ სახელებს, როგორც ცნობილია (ა. შანიძე, ვ. თოფურია), წრფელობითისა და სახელობით ბრუნვათა განსასხვავებლად არავითარი ფორმალური ელემენტი არ გააჩნიათ, ორივე ბრუნვის ნიშანი ნულითაა წარმოდგენილი (ისევე, როგორც ქართული ენის ხევსურულსა და ინგილოურ დიალექტებში) და, ამდენად, სახელთა უმრავლესობა თანხმოვნიანი ფუნქციებით გვხვდება. საანალიზო ლექსიკური ერთეული შპრგ-ი/ერგ-ი გამოინკლისს წარმოადგენს მსავასად შემდეგი ფორმებისა: მორ-ი „ორი“, სემ-ი „სამი“, ზა-დ „წელიწადი“, ბქ. ბურთ-ი „ბურთი“ (საღლაანი 2005, 16).

12. ფრანგდ ლეგ (ბქ.) „სწრაფია, მარჯვეა (ზედმიწ). — ფრანგ-ად დგ-ა-ს“), შდრ. ქართ. (ქიზიყ.) ფრანგვა „კარგად, ალმასივით ჭრა“ და თუშ. გაფრანგებად 1. გაცეცხლება, ძლიერ გაფავრება, გაგულისება. 2. საქმეს რომ ცეცხლად მოედება.

მიშგუ მეზუბელიშ დინა ფრანგდ ლეგ (ბქ.) „ჩემი მეზობლის გოგო ძალიან სწრაფია („ჩემი მეზობლ-ის გოგო ფრანგ-ად დგ-ა-ს“)“

ფრანგიშ შესრ (ბქ.) „მარჯვე, კარგი ხელების პატრონი (ზედმიწ). — ფრანგ-ის ხელები“

ხოჩა შირეშ მარელა იქტი: „ფრანგიშ ესერ შესრ ხაყა“ — კარგ ხელოსანზე ითქმის: „ფრანგის ხელები აქვსო („კარგი ხელების კაცზელა ითქმის: ფრანგ-ის-ო ხელები აბია“).“

13. არაბდ ლიფშუდე (ბქ.) „მაცნის გაგზავნა, გაშვება, ვინძეს-თვის ამბის შეტყობინება (ზედმიწ). — არაბ-ად გაშვება“, შდრ. ქართ. (მთიულ.) არაბ-ი „ბერიკების წინამძღოლი, შემურული, მურით გაშვებული“

ალი ქა მეფშუდე ხარხ არაბდ რიჩგურიანსრს (ბქ.) „ეს ამბის გასაგებად ყავთ გაგზავნილი რეჩგიანებს („ეს გაშვებული აქვთ არაბ-ად რეჩგიან-ებ-ს“).“

14. გნაცი ლიშდხე (ლშხ.) „არაქათის გამოცლა, მეტისმეტი და-ღლა (ზედმიწ. — ძალ-ღონის გამოლევა)“, შდრ. ქართ. (ქართლ., ლეჩ.).) გნაც-ი „ძალი, ღონე“; „ძალ-ღონე“ და ასევე, გნას-ი „ძალა“ (ქეგლ)

**ეფუი ემფაშ, ერე გნაც მარ მეშთხე** (ჩოლ.) „ისე დავიღალე, რომ არაქათი გამომელია („ისზე დავიღალე, რომ **გნაც**-ი მაქვს გათავებული“)“

**გნაცი ლისტრე** (ლშხ.) „ქანცის გაწყვეტა (ზედმიწ. — ძალ-ლონის გამოლევა)“

**გნაც მარ მეხტრე, ეფუი მეყარ** „ძალა გამომელია, ისე დამემართა („**გნაც**-ი მაქვს დარღვეული, ისზე დამემართა“)“.

სეანურში ლეჩეუმურტიდან ჩანს შეთვისებული.

15. **კალდემეკალდიძ ნინიშ პატრონ** (ბქ.). „მწარე ენის პატრონი (ზედმიწ. — ბასრი ენ-ის პატრონ-ი)“, შდრ. ქართ. **კალდიძ-ი** „ძველებური მახვილი (საომარი იარალი), დიდი სატევარი აფთი“

**ეგუშტრ კალდემ ნინიშ პატრონ ლი, ერე გუშის ჩუ ხოხბე მარა** „ისეთი მწარე ენის პატრონია, რომ გულს გაუხეთქავს ადამიანს („იმგვარ-ი კალდიძ-ი ენ-ის პატრონ-ი-ა, რომ გულ-ს გაუხეთქავს კაცს“)“.

აღნიშნული ტერმინი, რომელიც ქართველურ ენებში დღეს უკვე ხმარებიდანაა გასული, შემოვინახა როგორც სვანურმა იდიომატურმა გამოთქმებმა, ასევე ანდაზებმაც. მაგ.: **ფათრეკჟი თხუმიძ კალდემ ნინ ესერ ლი** (ლხმ., სვან. ანდაზ., 1973, 142) „არეულობის, ჩხუბის დროს მთავარი იარალი ენა არისო („ფათრეკ-ზე თავი კალდიძ-ი ენა-ო არის“)“.

ქართ. **კალდიძ-ი** > სვან. \***კალდემ-** > **კალდემ-** (შდრ. სეანურ ნა-სესხებ ფუქტა აუსლაურში ი/ე ხმოვანთამონაცვლეობის ნიმუშები: ბზ., ლნტ. **გომეჯ** < ქართ. (ლეჩ., რაჭ., აჭტ.) გომიჯ-ი, ბზ. **ქესა**, ბქ., ქს. **ქესა** < ქართ. ქისა, ბქ., უშე. **ქუირეთ** < ქართ. ქვირით-ი და ა. შ.).

16. **ჩსლოშუ||ჩსლოშუ ლეკუანე** (ბქ.) „უცარგისი, მოსაშორებელი (ზედმიწ. — ჩათრ-ი-თ გადა”საგდები)“

**შიმი ლეფდად უი ლექშდ ლახა ხარ ი თელაწუეხენქა ქა ლელრად ხაბეას, ჩსლოშუ ლეკუანე ეგლა ხარს** „როდესაც ადამიანი უვარგისია და მისი მოშორება აუცილებლობად მიაჩნიათ, იმაზე ამბობენ: გადასაგდებიათ („ხელის შესახებად აცდენილი როცა აქვს და თვალსაწიერიდან მოსაშორებლად მიაჩნიათ, ჩათრით საგდებს ამიტომ ამბობენ“).“

სეანური **ჩსლო** < ქართ. (ლეჩ.). ჩათრ-ი შემდეგი ფონეტიკური პროცესების გავლით: პირველ რიგში სახ. ბრუნვის ნიშნის დაკარგვამ გამოიწვია წინამავალი ხმოვნის უმღაუტი, ქართული **რ** > **ლ**, რაც ჩვეუ-

ლებრივი მოვლენაა ქართველურ ენებში, შემდეგ კი მოხდა მეტათეზისი, რის შედეგადაც მივიღეთ სვანური ჩატა.

17. **ფინდიხდ ლგგ** (ბზ.), **ფინთიხდ ლგგ** (ბქ., ლნტ., ლშხ.) „სწრაფია, დაუდეგარია, მარჯვეა (ზედმიწ. — ფინდიხ-ად დგ-ა-ს)“, შდრ. ქართ. (გურ.) **ფინთიხი**-ი „გასროლილი ისარი ან ტყვია“ < სპ.-თურქ. **punduk** „მახვილი, სასროლი ტყვია“.

**გეგი ფინდიხდ ლგგ** (ბზ.) „გეგი ძალზე სწრაფია („გეგ-ი ფინდიხ-ად დგ-ა-ს“)“

**ციოყ ფინთიხი მარე ლი** (ლშხ.) „ციოყი დაუდეგარი კაცია („ციოყ-ი ფინდიხი-ი კაცი არის“)“

ბალსქვემოურში, ლაშხურსა და ლენტებურში დაფიქსირებული **ფინთიხ-** მომდინარეობს ქართულიდან ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილებების გარეშე, რაც შეეხება ბალსქემოურ **ფინდიხ-ს**, იქ მოხდა ინლაუტისეული **თ-ს** გამჟღერება (**თ > დ**).

საანალიზო ლექსიკური ერთეული **ფინდიხი** „სწრაფი, ჩქარი, გაბედული“ მეგრულშიც დასტურდება გადატანითი მნიშვნელობით.

18. **წელიშ ჰირიკ** (ბქ.) „ჩაფა, გარჯა (ზედმიწ. — ვირის უნაგირი)“

**ლეთილადეღ წელიშ ჰირიკ ხაგ ი მა ლემბაჟ, ერე ხოლამდირდი?** (ბქ.) „დღე და ღამე ჭაფაშია და რა გასაკვირია, რომ ცუდადაა („ღამე და დღე ვირის უნაგირი ა-დგ-ა-ს და რა გასაკვირი, რომ ცუდადიქება?“)?“

ბალსქვემოურ დიალექტში დაფიქსირებული **ჰირიკ** < ქართ. (ლეჩხ.) **ხირაგა** < ოს. **xæræg** „ვირი“ აუსლაუტისეული თანხმოვნის დაყრუების შედეგად (საღლიანი 2005, 50).

19. **ჭიაბერდ ესსიბან** (ლშხ.) „გაღორდა, ღორმუცელად გადაიქცა (ზედმიწ. — ჭია-ბერაო-დ გადაიქცა|გადატრიალდა)“

**ჭიაბერდ ლგგ** (ლშხ.) „გაუმაძლარია (ზედმიწ. — ჭია-ბერაო-დ დგ-ა-ს)“, შდრ. იმერ. ჭიამჭიმელი „სნეულება; გაუმაძლრობა“ და რაჭ. ბერაო „მუხლუხო“.

საანალიზო ლექსიმა **ჭიაბერ-ი** შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: **ჭია** და **ბერ-ი**, ორივე მათგანი ნასესხებია ქართულიდან. სვან. **ბერ-** < რაჭ. ბერაო-სგან აუსლაუტისეულ (-აო) ხმოვანთა დაკარგვით.

20. დეცე სუნდუქში ლებჭებულაქ! (ბქ.) „გასახეთქი, სასიკვდილე (ზედმიწ. — ციტა ზანდუკით გასახეთქი!)“

სუნდუქში დეცე მიჩა მეფშუდა მაზიგს ქა ნომთეუ ჭაქბუნე სი ი ისგურა ქორა! (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 55:17) „ცის ღვთაებამ თავისი გაშვებული ავადმყოფობა არ იგაცდილის შენ და შენს ოჯახს („ზანდუკი ც-ის ა” მის გაშვებულ ტკივილს ნუ-არ-გის-კენ-მცა აგაცდენს შენ და შენს ქორა-ს!)“

სვანური წევლის ფორმულებში დაფიქსირებული სუნდუქშ < რუს. **Сундук** „ზანდუკი, სკივრი“. ბოლოკიდური უ შესაძლოა ფონეტიკურ ნიადაგზე იყოს გაჩენილი (წინამავალ უ-სთან ასიმილაციით).

21. ქულისიშ ლიკედ (ბქ.) „გაქცევა, სწრაფად წასვლა, მოქუს-ლვა (ზედმიწ. — ქუსლ-ის აღება)“

დინად ქულის გარ ანკიდ (ბქ.) „გოგომ უცებ მოქუსლა (,გოგომ ქუსლი მხოლოდ აიღო)“

ქულიზიშ ლიჩუებ (ბქ.) „გაქცევა, მოქუსლვა (ზედმიწ. — ქუსლ-ის ქმნა)“.

ქართ. ქუს- ქუს-ლ-ი : ზან. (მეგრ.) ქურს-||ქურც-||ქურ- ქურს-ი||ქურც-||ქურ-ი : ზან. (ლაზ.) ქურ-||ქუს- ქურ-ი||ქუს-ი „ქუსლინ“ (სარგველაძე, ფენრისი 1990, 329) : სვან. ქულის||ქულიზ „მოქუსლვის მნიშვნელობით“.

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ქართულ-ზანურის შესატყვისი სათანადო სვანური ფუძე დღემდე არ ყოფილა გამოვლენილი. სვანურში გავრცელებული ქუსლის აღნიშვნელი ჰაგუ (ჭ.ს.), აგუ (ქ.ს.) კი აღიღური სუბსტრატია, რომელიც მომდინარეობს აღიღური ლაპა „ტერფი“ სიტყვიდან (ზედმიწ. — ლაპ „ფეხი“, გვ „გული“, ე. ი. ფეხის გულა). აღიღური ლაპტერალი სვანურში შენაცვლებულია ჰ უკანა რიგის სპირანტით (როგავა 1987, 23).

ის, რომ ქართული ქუსლ- სიტყვის შესატყვისი მოგვეპოვებოდა სვანურში, ამაზე მეტყველებს იღიომატურ გამოთქმებში (ქულისიშ ლიკედ „გაქცევა, სწრაფად წასვლა, მოქუსლვა“, ქულიზიშ ლიჩუებ „გაქცევა, მოქუსლვა“) შემორჩენილი ქულის||ქულიზ ლექსემა.

ქართ. ქუსლ-ი > სვან. \*ქუისლ-<sup>1</sup> > ქულის- > \*ქულიშ-, ხოლო რაც შეეხება ქულიშ- ფორმის აუსლაუტისეულ ზ-ს, იგი, როგორც ჩანს არააღეკვატური აღქმის შედეგია.

გ. კლიმოვის მიერ ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღ-დგენილია \*ქურსლ- არქეტიპი (ЭСКЯ, 200; Klimov 1998, 219).

22. ზაურთარი ლიუტმე (ლშხ.) „დაბწეულობა (ზედმიწ). — ზავთ-ებ-ი-ცი არევა)“, შდრ. ქართ. (მესხ., ფშ.) ზავთ-ი „რიხი, ძალა“ < არაბ., თურქ. zapt.

ზაურთარ ლოქ ახლომენა ალ მარა (ლშხ.) „დაიბნაო ეს კაცი („ზავთ-ებ-ი-ო არევა ამ კაცს“)“.

საანალიზო იდიომატური გამოთქმის პირველი კომპონენტი ზავთ ქართულის გზით ჩანს შემოსული სვანურში ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილებების გარეშე. რაც შეეხება ზაურთ-არ ფორმაში გამოვლენილ -არ-ს, იგი მრავლობითი რიცხვის მარტარმობელია სვანურში.

ერთადერთი რაც შეიძლება ითქვას, ეს არის სემანტიკური გადაწევა, თუმცა, ვფიქრობთ, შეფარდება სემანტიკურ დონეზე რი ხ ი, ძ ა ლ ა ~ დ ა ბ ნ ე უ ლ ო ბ ა დასაშვებია.

23. ბოლეკდ ლიკედ (ზს.) „ამოწყვეტა, ძირფესვიანად ამოგდება (ზედმიწ). — ბოლქვ-ად აღება)“, შდრ., აგრეთვე, წესხად ი ბოლეკდ ლეკდაქ! (ბქ.) „ამოსაწყვეტი, ძირფესვიანად ამოსაგდები (ზედმიწ). — ფერვად და ბოლქვ-ად ასაღები!)!“ ძირ ი ნაბალაკ ლეკდაქ! (ლშხ.) „ძირფესვიანად ამოსაგდები (ზედმიწ). — ძირ-ი და ნა-ბოლქვ-ი ამოსაღები!)!“ ძირიშ ი ნაბალაკი ლეკედ! (ლშხ.), „ძირფესვიანად ამოსაწყვეტი (ზედმიწ). — ძირ-ის და ნა-ბოლქვ-ი-ცი ასაღები!)!“ ლგძირ-ლგბოლ-კდუ ალჭელელი! (ჩოლ.) „ძირფესვიანად ამოწყდნენ (ზედმიწ). — ძირიან-ბოლქვ-ად-მცა ამოხვეტილა!)!“ ქოქდ ი ნაბალაკდუ ემშდეხელი გუშუე მგჭთე (ლშხ.). „ამომწყდარიყოს ჩვენი მაწყევარი (ზედმიწ). — ფერფლად და ნა-ბოლქვ-ად-მცა გათავებულა ჩვენი მაწყევარი!)!“

ესნარ ... კესნაშა სამსრ ლაქეალს ალ დაბ ი ბოლეკდ ანკიდხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 172:29-30) „თურქე კეისრისანის ღორები მი-

<sup>1</sup> მოსალოდნელი იყო ქუსლ- ფორმის მიღება, რაც არ განხორციელდა თანხმოვანთა არაბუნებრივი მიმღებრობის სუპერაციის გამო და მოხდა მეტაფეზისი, ს'ს ადგილას გადმოინაცვლა სონორმა თანხმოვანა.

ეპარნენ ამ ყანას და ამოწყვიტეს („თურმე კეისრ-ის-ან-ის ღორები მიე-პარნენ ამ ყანას და ბოლქვ-აღ აიღეს“)“

ბოლეკდ ლეკდიაქ ალ ხამშრდ ჰარტამ ფ'ანხშიოტხ (ბქ.) „ამოსა-წყვეტმა ღორებმა ბოსტანი მოსპეს („ბოლქვ-აღ ამოსაღებმა ამ ღორებ-მა ბოსტანი ამოწყვიტეს“)“ და ა. შ.

ქართ. ბოლქვ-ი > სეან. \*ბოლქვ- > \*ბოლკ- > \*ბოლკ- > ბოლეკ-

24. ყაბშრდეაშ მუხშიოტან „ავი, ცუდი ზნის ქალი (ზედმიწ. — ყაბარდო-ს ამომწყვეტი)“

ხოლა ზურალს ყაბშრდი ესერ უშხშარდ ლოხხშიოტა (ბქ.) „ცუდმა ქალმა მთელი ქვეყანა ერთმანეთს მიაწყვიტაო („ცუდ ქალს ყა-ბარდო-ო ერთმანეთაღ მიუწყვეტია“)“.

საანალიზო ლექსიმა დასტურდება სეანურ ანდაზებშიც, მაგ., თელემან მარე ყაბშრდის ესერ ქა ხოლთხშიმი (ლხმ., სეან. ანდაზ., 1973, 41) „ჭკვიანი კაცი მთელ ქვეყანას უხელმძღვანელებსო („ტვინ-იან-ი კაცი ყაბარდო-ს-ო უმეთაურებს“)“.

როგორც ჩანს, სეანგის წარმოდგენით ყაბარდო დიდ ქვეყანას წარმოადგენდა.

სეანურ ფრაზეოლოგიურ გამონათ ქვამებში, ასევე, დიდი რაოდენობით დასტურდება ისეთი ლექსიკური ერთეულები (მაგ.: ფინზდ ლიგნე (ბქ.) „დამსხვრევა, დაფშენა (ზედმიწ. — წიწვად დგ-მა)“, შდრ. ბქ. ფინიზ „წიწვა“; ჰირგიშ ლიკერ (ბქ.) „ქალების ერთობლივი წამოტირება, ბანი (ზედმიწ. — ბანის/მოძახილის რტყმა)“; გუეგს ლიჭემ (ბქ.), გოგს ლიჭემ (ბქ.) „მათხოვრობა, მაწანურალობა, კარდაკარ სამათხოვროდ ხეტიალი“; ჰპიდიდოდეუს ლიგნე (ბზ.) „ხმაური, აურზაური, ჩხუბი; ნერივიულობა“; წინალდ ო წირკამბლდ ლიბლოკე (ბზ.) „ამოწყვეტა, ამოულეტა“; გაგზდ ლირდე (ბზ.) „უბედობა (ზედმიწ. — ქადაგად ყოფნა“; გაგზზდ ლგგ (ბზ.) „ქადაგებს, ყბედობს (ზედმიწ. — ქადაგად დგ-ა-ს)“; გუშსპდ ლიგნე (ბზ.), გუშსპდ ლიგენე (ლნტ.) „დახრუკვა, დაწვა, ფერფლად ქცევა, ცეცხლში შთანთქმა (ზედმიწ. — ხრუკვად დგ-მა)“; ეგარუტდ ლიკუნე (ბზ.) „აბუჩად, მასხრად აგდება“; სადარ-კუდარიშ ჭაჭშრ ლექშა ლიკერ (ბქ.) „გალანძღვა, გათათხვა“, შდრ. ლშხ. სადარ-კუდარ; სგრიგაგას ჟი ხაგ (ბქ.) „აწრიალებულია, მოუსვენრადაა (ზედმიწ. — მოუსვენრობას ზე ა-დგ-ა-ს)“; ფისეგარგასისგაოლუ ხარ ლაქუნ! (ბქ.) „ჯოჯონეთი იყოს მისი სამკვიდრო (ზედმიწ. — ჯოჯონეთშიმც აქვს სასულე)“! ლექილ-ბედოლს ლიტეხ (ბზ.) „ქველი გაჭირვებული ცხოვრების დაბრუნება, კვლავ სიღარიბეში ჩავარდნა (ზედმიწ. — გაჭირვებას და-ბრუნება)“; ფისეგ გარგასთე ლისკნე (ბქ.) „ჯოჯონეთში მოხვედრა (ზედ-

მიწ. — ფის-ის გაგანიაში ჩახტომა); „ნანდ ი ფანდიშ ლიკედ (ბქ.) „საღერლელის აშლა, აფორიაქება“; ქირიმ-ბარას ლახრილუ (ჩოლ.) „მიყარ-მოყარა“; დავა-ტაფად ხუჭახ (ჩოლ.) „მდიდრები არიან, ბევრი ქონება აქვთ“ და ა. შ.), რომელთა წარმომავლობის დადგენა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ისინი, როგორც მრავალრიცხოვანი მასალის ანალიზმა აჩვენა, შემონახულია გაქვავებულ გამონათქვამებში და ბევრი მათგანის არქაულობიდან გამომდინარე, დიდია მათი მნიშვნელობა ენის ისტორიის კვლევა-ძიებისას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

#### ა) სამეცნიერო ლიტერატურა:

1. **თაყაიშვილი 1961** — ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი, 1961
2. **თოფურია 1927** — ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, თბილისის უნივერსიტეტის მრამბე, VII, თბილისი, 1927
3. **კლიმოვი 1964** — Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964
4. **კლიმოვი 1998** — G. Klimov, Etimological Dictionary of the Kartvelian Languages, Berlin-New York, 1998
5. **ონიანი 1954** — ა. ონიანი, ქართულ-სვანური იდიომატიკა, თბილისი, 1954
6. **პოპოვი 1956** — Р. Н. Попов, Грамматические архаизмы в устойчивых фразеологических единицах Русского языка, Симферополь, 1956 (საკანდ. დისერტ.)
7. **როგავა 1945** — გ. როგავა, წამალ- სიტყვის ეტიმოლოგიისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, VI, 3, თბილისი, 1945
8. **როგავა 1987** — გ. როგავა, ზოგი ადილური სიტყვა ქართველურ ენებში, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1987
9. **საღლიანი 2005** — მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, საღისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2005

10. **საღლიანი 2005** — მ. საღლიანი, ფონეტიკურად უცვლელი ნასესხები ფუძეები სვანურ ენაში, ივერია, XII-XIII, პარიზი, 2004-2005
11. **საღლიანი 2006** — მ. საღლიანი, ზოგი საერთოქართველური ფუძის შესახებ, XXVI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2006
12. **საღლიანი 2011** — მ. საღლიანი, სვანური ენისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური იდიომები ანუ იდიომური ლაკუნები, საენათმეცნიერო ძიებანი, XXXIII, თბილისი, 2011
13. **სტეფანოვი 1975** — Ю. С. Степанов, Основы общего языковознания, М. 1975
14. **შანიძე 1957** — ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1957
15. **ჩხვიმიანი 2004** — ს. ჩხვიმიანი, ფრაზეოლოგიზმების ტრანსპოზიციის პრობლემა მხატვრულ თარგმანში, საენათმეცნიერო ძიებანი, XVI, თბილისი, 2004
16. **ცოცანიძე 1999** — გ. ცოცანიძე, ფრაზეოლოგია — მისი ლინგვისტურ-დიალექტოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორისტული ასპექტები, ქართველური მემკვიდრეობა, III, თბილისი, 1999

### ბ) ლექსიკონები:

1. **დავითიანი 1973** — ა. დავითიანი, სვანური ანდაზები, თბილისი, 1973
2. **დონდუა 2001** — კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2001
3. **თოფურია, ქალდანი 2000** — გ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000
4. **ლიპარტელიანი 1994** — ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილი), თბილისი, 1994
5. **ნიუარაძე 2007** — ბ. ნიუარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2007

6. დღონტი 1984 – ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II გამოცემა, თბ.
7. ჯიქია 2002 – ო. ჯიქია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, თბილისი, 2002.

გ) წყაროები:

**სვან. პროჩ. ტექსტ. 1939** — სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსტემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი, 1939

**სვან. პროჩ. ტექსტ. 1957** — სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1957

**სვან. პროჩ. ტექსტ. 1967** — სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1967

**სვან. პროჩ. ტექსტ. 1979** — სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი, 1979

**სვან. ენის ქრესტ. 1978** — სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი, 1978

**Medea Saglianı**

**On the origin of the archaic words fixed  
in the Svan phraseological expressions**

**Summary**

The present paper is an attempt to research the origin of an archaic lexical component fixed in some Svan phraseological expressions.

Considering the correspondences existing in the Svan phraseological expressions some lexical components appeared to be the data of Common Kartvelian level, some of them – loans from other languages some of which Svan preserved unchanged and some underwent significant changes. An observation on the material manifested the most part of the borrowed forms entered in Svan dialects through Georgian. The more, Svan preserved many those Common Kartvelian archaic forms in phraseological expressions (in idioms, in the formula of curses, blessing and greeting) which are not fixed in the modern literary Georgian – they are mostly preserved in Georgian dialects. It should be said that the origin of many of them is not researched.

## მურმან სუსიშვილი

### ქართ. ბენძღ- ფუბის მეგრული შესატყვისისათვის

„დავითიანის“ იმ ქვეთავში, „მეფის ვახტანგის ამიერ სოფ-  
ლით მიცვლას“ რომ ეხება, გურამიშვილი ქვეყნის დაქცევის მი-  
ზეზად შურს ასახელებს და გვეუბნება, რომ შურმა –  
„განაპორობა კეთილი, შურმან აუბა თვალები.  
წინა აღუძღვა ბრმა ბრმათა, არივა გზა და კვალები.  
დაბენძღა, დაარიოშა, ოქროს მორივა რვალები 148,  
582, 1-3.

წიგნს დართული ლექსიკონის მიხედვით (შემდგენ. ივ. გი-  
გინეიშვილი) დაბენძღა ზმინს მნიშვნელობა საბასეული გან-  
მარტების გათვალისწინებით ასევა წარმოდგენილი: „ბენძღა და და-  
(დაუმუშავებელ ლითონად) აქცია“.

შდრ., საბა: **ბენძღი:** „უმუშევარი ილეკრო“ ZAB  
**დაბენძღა:** „ილეკროს მიწა და ქვა რა დაადნო და  
ბენძღად შექმნა“ ZA  
**დაბენძღილი:** კლდე დაძრულ-დალეჭილი C  
დაშლილი კლდე E  
ეს განმარტება გადადის სხვა ლექსიკონებშიც:  
ბენძღი „უმუშევარი მეტალი“... დაბენძღა „მეტალს  
ბენძღად შევიქმ“ (ჩუბინაშვილი, 1984).

ქეგლში ასეთი სურათი გვაქვს:  
ბენძღი ... 1. ძველი დაუმუშავებული ლითონი (საბა).  
2. ძალიან ძველი, დაძველებული ॥ გადატ. ბებერი. ქეგლის ახალ  
ვარიანტში გადატანით მნიშვნელობას ილუსტრაციაც ახლავს:  
მას ვიღაც უცნობი ბენძღი ბერიკაცი ახლდა (“ლიტ. საქ.“).  
დაბენძღა და ვს... ძვ. გრდმ. ბენძღად (მნიშვ. 1) აქცევს...  
საილუსტრაციოდ დ. გურამიშვილის ზემოთ დასახელებული  
სტრიქონია დამოწმებული.

დაბენდდეს, ბენდად (მნიშვ. 1) ქცეული. 2. „კლდე-დაძრულ“ – დალეწილი (საბა).

დიალექტების მიხედვით:

ბენდდი... ძველი, ბენდ: დაბენდდება „უშნოდ დაჯდომა“, დაგდება: „ბევრს ნუ ლაპარაკობ, დებენდე მაქ“ (ბერიძე, 1938).

ბენდდი „უშნოდ ჩასუქებული ბებერი, ბებრუხანა, ტლანქი ტანის ადამიანი“, გაბენდდი... „უშნოდ გასუქებული გაბერილი ადამიანი“ (ნიუარაბე, 1971).

ბენცხი, ბენდდი „მეტისმეტად მსუქანი, მძიმე, მოშვებული (ჩვეულებრივ, ქალი), ბენდდება – მეტისმეტად სუქდება, სქელდება“, დაბენძლდება – დაბერდება (იტყვიან აგდებით), დაუბენძლდება – დაბენძლებული (ქართლ., 1981).

ალ. ღლონტის „სიტყვის კონის“ მიხედვით, „ბენდდი (იმერ., გურ., მესხ.) ძველი, დამპალი, გაფუჭებული, ობმოდებული რამე, ბენდი ადამიანი დახავსებული, მოხუცებული კაცი, საშინლად გადაბერებული – ბენდი ბებერი“...

ბერძდ-ნაბერძდალი: „დახეულ ტანსაცმელს – ნაბერძდალს [ეძახიან] (ჭინჭარაული, 1960, 261, 2).

ამავე მნიშვნელობით დამოწმებულია ქართლურში: დაბერძდილი – დახეული, დაგლეჭილი (ფარცხ., მარაბ.) (მენოეშაშვილი, 1970, 261). შეიძლება ბერძდ- მომდინარებდებს ბერძდისაგან: ბერძ- < ბერძ- (შდრ., ბლარტი < ბარტი). აქ ბერძდ- და ბერძ- ფუძეთა მიმართების საკითხიც დგება.

ქეგლში დამოწმებული ბენძდის მეორე მნიშვნელობა: ძალიან ძველი, დაძველებული, ॥ გადატ. ბებერი და ამ სიტყვის ზემოთ ჩამოთვლილი დიალექტური მნიშვნელობები საბასეული დაბენძდა, დაბენძდილი - ს „დაძრულ-დალეწილი, დაშლილი (კლდე) > დაძრულ-დალეწილი, დაშლილი (რაღაც >|| ვიღაც) სემანტიკური განვითარების შედეგი ჩანს: დაშლილი > ძველი, მოძველებული, გაფუჭებული, ბებერი..., დაშლილი. 2. მოშვებული, ტლანქი, მსუქანი, სქელი...

შდრ.: ანალოგიისთვის: დაშლა... 1. შემადგენელ ნაწილებად დახსნა, დანაწილება... 3. დარღვევა, დანგრევა... 4. გადატ. გახრწნა, დალპობა... (ქეგლ III).

ქართ. ბ ე ნ ძ ღ - (ბენძღ-ი, დაბენძღ-ა, დაბენძღ-იღ-ი) ფუძის ფონეტიკური და სემანტიკური შესატყვისი შეიძლება იყოს მეგრ. ბ ა რ ჯ ღ - (ბარჯღ-ი „გაბარჯღული, ვარჯი“) (ქობალია, 2010)), ბ ა რ ჯ ღ - ა ॥ „ჭრელი, ჭროლა“ (ქაჯაია, IV, 2009). ქ ა - ბ ა რ ჯ ღ - ა „ქორბუდა, რქებაწეული“ (ქაჯაია, III, 2002). ბ ა რ ჯ ღ - უ - ა „აჭრელება, მოჭრა“ (თვალისა“, ვალი კოს თოლემს უბარჯღუნს. ბ ა რ ჯ ღ ი ღ - ი „აჭრელებული“ (ქაჯაია, I); დავარჯებული, გაბარჯღული (ხე): (სინათლით, თოვლით) აჭრელებული, მოჭრილი (თვალი) (ქობალია, 2010)...

ამ დაკავშირებას გარკვეული ფონეტიკური და სემანტიკური სირთულეები ახლავს, რომელთაც განმარტება სჭირდება.

ფონეტიკური თვალსაზრისით ქართულ და მეგრულ შესაპირისპირებელ ფუძეებს შორის (ქართ. ბ ე ნ ძ ღ - : მეგრ. ბ ა რ ჯ ღ - ) შესაბეჭისობა დაცულია; საერთოქართველურ დონეზე აღდგება \*ბენძღ- ფუძე (აღდგენილია შუასიბილანტური \*ძ1 > ქართ. ძ : მეგრ. ჯ, საერთოქართველური \*ე > ქართ. ე : მეგრ. ა). ასახსნელია ფუძისეული ინლაუტის ნ-ს რეფლექსი მეგრულში: ნ>რ; ჩვეულებრივ, მეგრულში ინლაუტის ნC კომპლექსი შესაბეჭის ფუძეებში ინახება (ქართ. ღვენთ- : მეგრ. ღვანთ-, ქართ. ძენძ- : მეგრ. ძანძ-, ქართ. კენძ- : მეგრ. კანკ-, ქართ. ბანძ- : მეგრ. ბონძ- (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000)). საერთოდაც, საერთოქართველური \*ნ-ს რეფლექსად ქართველურ ენებში ყველგან ნ გვხვდება (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 23).

ამასთან, პარალელურად, სამეცნიერო ლიტერატურაში ქართულისა და მეგრულის შესატყვის ფუძეებში გამონაკლისის სახით ქართ. ნC > მეგრ. რC დასტურდება:

ქართ. ღონძ- (ღონდღ-ო) : მეგრ. ღორდ- (ღორდ-ი) (აბაშია, 1998-ა, 6,7.)

ქართ. ლანძ- (ლანძაგს) : მეგრ. ლურჯ- (გინოლურჯუა „გადაწვა“) (სუხიშვილი, 2006).

საყურადღებოა, ქართ. ნC > მეგრ. რC მიმდევრობის დაფიქ-  
სირებისას შესაძლო ე.წ. შეუალედური საფეხურის დადასტურება  
მეგრულში: ქართ. თენთ- (მოთენთვა): მეგრ. თანთ- // თართ- (მო-  
თანთუა / მოთართუა) (აბაშია, 1998, ბ, 17).

ქართ. ბუნდღა (იმერ.): მეგრ. ბუნდღა // ბურდღა „ბურ-  
ტყლი“, ჭან. ბუნდღა (ჩიქობავა, 1938, 101).

არნ. ჩიქობავას ეს სიტყვა ქართულში მეგრულიდან ნასეს-  
ხობად მიაჩნია. თუმცა ქართულში „ბურდღლიც“ დასტურდება.  
გ. კლიმოვი საერთო ქართველურისათვის აღადგენს \*ბურდღა  
ფუძეს (კლიმოვი, 1964).

მონაცემებია ნ-ზ მეგრულში დასტურდება არა მარტო  
საერთოქართველურიდან მომდინარე ფუძეებში, არამედ თავად  
მეგრულის მასალაშიც, მაგ.:

დვანკალა – იგივეა, რაც დვარკალა, შდრ., დვარკალა –  
მოტრიალე აქეთ-იქთ, მოძრავი, მოსავსავე.

დვენწკი – ზოოლ. იგივეა, რაც დვერწკი – ჭია... (ო. ქაჯა-  
ია III, 2002).

საპირისპიროდ დასტურდება ასევე რ-ზ მონაცემებაც:  
ქართ. გრძ- გრძელი, მეგრ. გპრძ- „გრძელი“, მეგრ. გპრძ- გპრძე/  
გირძ-ე // გპნძ-ე (<\*გრიდ) ამოსავალია აქ რ.

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა, რომ სევსურულში  
ბენძ- ფუძის ვარიანტად ბერძ- ფუძეა წარმოდგენილი:  
ნაბერძ- და ლი „დახეული ტანსაცმელი“.

ასე რომ, მიმართება ქართ. ნ : მეგრ. რ, ქართ. ბენძ- და  
მეგრ. ბარჯლ- ფუძეთა საერთო წარმომავლობის მტკიცებისათვის  
დაბრკოლება ვერ იქნება.

ასახენებია ქართ. და მეგრ. შესაპირისპირებული ფუძეების  
სემანტიკური სხვაობა: ქართ. ბენძ- და უმუშავებელი  
ლილობინი, და ბენძ- და ვა – ბენძღად, ანუ დაუმუშავებელ  
ლილონად ქცევა და მეგრ. ბარჯლ- და „გაბარჯლული, გარჯი“,  
ბარჯლ- ა „ჭრელი, ჭროდა“, ბარჯლუა „დაგარჯება, გაბარ-  
ჯლვა (ხის), აჭრელება, მოჭრა (თვალისა)...“

როგორც გხედავთ, მეგრულში სახელურ ბარჯლ- ფუძეს  
ორი მნიშვნელობა უჩანს: ბარჯლ- და „გაბარჯლული, გარჯი“

(ქობალია, 2010), ბარჯლ-ა „ჭრელი, ჭროდა“ (ქაჯაია IV, 2009), კომპოზიტში ქაბარჯლ-ა „ქორბუდა, რქებაწეული“ (ქაჯაია III, 2002) „გაბარჯლულ“ და „ჭრელ“ მნიშვნელობათა შორის კავშირი იკვეთება. ამ მნიშვნელობათა სიახლოვე ზმნაშიაც და ნაზმნარ სახელებშიც აისახება: ბარჯლუ „დავარჯება, გაბარჯლვა (ხისა); აჭრელება, დასერვა, მოჭრა თვალისა (სინათლისაგან) (ქობალია, 2010), „ზედმეტი სინათლით დაბრმავება“ (ფიფია, 1990).

მეგრ. ბარჯლ- ფუძის დასახელებულ მნიშვნელობათა ერთმანეთშე მიბმა სემანტიკურად არის მოტივირებული; „გა- ბარჯლვაც“ და „აჭრელებაც“ რაღაც მთლიანობის და- შლის შედეგის განსხვავებული აღქმაა; შდრ.: დატოტვა - ტო- ტების გამოტანა, ტოტების გამოტანა-გაშლა (ქეგლ III), დატოტ- ვილი ხე. ჭრელება - ნაირ-ნაირი ფერის მიცემა (ქეგლ III), შდრ.: ჭრელი „სხვადასხვა ფერი ერთში“ C (საბა).

ამ თვალსაზრისით საყურადღებოდ გვეჩვენება ჭრელ- ზედსართავი სახელის ჭრა ზმნურ ძირთან დაკავშირება „ჭრით ჭრელების“ გამომხატველი სემანტიკის ლექსიკური ერთეულების საშუალებით ძველ ქართულსა და დიალექტებში: „და აჩნდა კუ- ერთხოთ მათ თეთრი იგი, რომელი გამოეხუეწა ჭრელი“ (O, დაბ. 30, 37...).

ზოგი კიდობანი წინა მხარეს შემქულია ნაჭრელი თ. ამ ნაჭრელი სერდება დანის წერით ნაჭრელი, კაი გელი ან დაჭრელი იგი თუ და ი თ (თუშეთი-შინამრეწვ. I, 1976, 436)“ და სხვ. (არაბული, 2001, 190...).

სხვათაშორისის, „აჭრელება“ და „ჭრა“ მნიშვნელობათა სი- ნონიმური კავშირი გამოკრთება მეგრ. ბარჯლუს განმარტები- სას:

ბარჯლუ „აჭრელება, დასერვა, მოჭრა თვალისა“... (ქობალია, 2010).

სემანტიკური კავშირი ასევე იკვეთება ქართ. ბენძლ- და მეგრ. ბარჯლ- ფუძეთა მნიშვნელობებს შორისაც: ქართ. ბენძლ-ი : „დაუმუშავებელი ლითონი“; კლდის ნალექ-ნაშალი (შდრ.: დაბენძლილი „კლდე დაძრულ-დალეწილი“, „დაშლილი

კლდე“ (საბა) და მეგრ. ბარჯლ-ი „დატოტვილი, ვარჯი“, ბარჯლ-ა „ჭრელი, ჭროდა“ მნიშვნელობებს შორის სემანტიკური კაგშირი გაპირობებულია როგორც „დაშლის“ ზოგადი სემანტიკით (დაშლა – შემადგენელ ნაწილებად დახსნა, დანაწილება... (ქვეგლ III), შდრ., დატოტვა – ტოტების გამოტანა-გაშლა, დახენძღვა – კლდის დაშლა-დამსხვრევა, შდრ.: „რაც ილეკრო ბენდდად შექმნა“ C (საბა), ასევე – „ბენდლ“ ცნების რეფერენტის თვისობრიობით.

ბენდლ-ი, საბას მიხედვით, „დაუმუშავებელი ილეკრო“, დაუმუშავებელი ლითონიი („ლითონი მას ადგილსა ეწოდების, სადა ილეკროს სთხოიან, ანუ მარგალიტი და სპეკალი გამოდის, რომელსა საპარსნი მადანსა და ქანს უხმობენ“ საბა ZA).

ლითონისთვის დამახასიათებელია ლითონური ბზინგა, რაც ელექტრონების არსებობითაა გამოწვეული. საბასეული ილეკრო, იგივე ილიქტრონი || ილექტრო (ბერძნ. τεχνητρούς αντικείμενος 1. მეტალი, 2. ქარვა შდრ., ამავე ფუძის – ηλκτωρ „სხივ-მოსილი, გასხივოსხებული“ (ვაისმანი, 1991). „ილეკროს“ (ლითონის) ოპტიკური თვისება – „ბზინგა“ საბასთანაც არის დაფიქსირებული:

ილიქტრონი (1,4 ეზეპ.) ესე იგი არს ილეკროებთა (ილეკროების B) ფერი ერთბამად ბრწყინვიდეს ZAB (12).

ილეკრო, „სიტყვის კონის“ მიხედვით, „ეწოდების ოქროსა, ვეცხლსა, სპილენძსა, ტყვიასა, კალასა და ყოველსავე მისთანათა ერთბამად“, ბენდლი კი ამ ლითონთა ნაზავია, რომელსაც თავისი ელვარება აქვს, შდრ., ელვარ ე ილეკრო მოელვარე ZA, ბრწყინვალებასავით ჰქონდეს BCB (საბა).

საბას მიერ მითითებულ წყაროში (ეზეპილში, ოდონდ სხვა ადგილას) უფლის ხილვა ილიქტრონის (ილეკტროს) ბრწყინვალებასთანაა შედარებული: „და ვიხილე ვითარცა ხილვა ილიქტრონისათ, რომელ არს ოქრო და ვეცხლი და რვალი ერთად შედნობილი, ეგრე იყო ბრწყინვალებითა ხილვითგან წელთავთ და აღმართ და ხილვითგან წელთავთ და დამართ, ვიხილე ვითარცა ხილვა ცეცხლისათ და ნათელი მისი გარემო“ (ეზეპ. 1, 27 ).

ლითონის ეს თვისება ადვილად თვალშისაცემია და მხატვრულ ლიტერატურაშიც აისახება. წარმოვადგენო რამდენიმე პასაჟს:

„ასე მივახლოვდით, რომ დავინახეთ. მართლა ხშირად ნაშენებსავით ჩნდა სულ ყვითელი კლდე... მზე ადგა და ასე გეონებოდა კაცსა ცეცხლი ეკიდებათ: სულ ყვითლად ჭყრტიალებდა, მისი შუქი სულ იმ მინდორსა და ზღვასა აღელვებდა“ (რუსუდ. 274, 8-13).

„...არც ოქროსი რამ იყო, არც ვერცხლისა, არცა თვალისა და მარგალიტისა, ცარიელი ყვითელი ქვა იყო იმ კლდისაგან გათლილი, მაგრამ ისერიგად იყო ნათალი და ნაშენები, რომე, თუ არა სამოთხე, იმას სხვა არ ჯობდა რა“ (რუსუდ. 297, 13-16).

„ოთხი ფერი უცხო მადნის ქვა იპოვეს, გამოზიდეს და მოიტანეს. ისრეთი რამ იყო, რომ ალმასივით ელავდა“ (ყარაბ. 674)...

ასე რომ, ქართ. ბენძლ- ფუძის (ბენძლ-ი „უმუშევარი ილეკრო“, დაბენძლ-ა „რაც ილეკრო ბენძრად შეჰქმნა“...) შესატყვისი უნდა იყოს მეგრ. ბარჯლ- (ბარჯლი „ვარჯი, გაბარჯლელი“, ბარჯლ-ა „ჭრელი“... ბარჯლუა „აჭრელება, მოჭრა (თვალისა)...“ საერთოქართველურ დონეზე სავარაუდოდ აღდგება \*ბენძლ- ფუძე.

კვლევის ამ ეტაპზე მეგრულშივე დადასტურებული ბენძლი „ძველი ლითონის ჭურჭელი“ (ფიფია, 1999), „ლითონის ცხაურა“, ბენძლუნია – „ლითონის ცხავი ნაკვერჩხლებზე დომის გასახურად, თევზის გასაფიცხებლად (ქობალია, 2010) ქართულიდან ნასესხებად უნდა ჩაითვალოს (შდრ., საბა: ბენძლ-ი „უმუშევარი ილეკრო“).

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშია 1991 – რ. აბაშია, საერთო-ქართველური ლექსიკო-დან, VII, ენათმეცნიერების ინსტიტუტის და თსუ ფილოლოგის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია „არნოლდ ნიქოლავას საპითხავები“, IX.
2. აბაშია 1992 – რ. აბაშია, საერთო-ქართველური ლექსიკო-კიდან, VIII, ქუთაისური საუბრები IV, ქუთაისი.
3. არაბული 2001 – ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუ-ძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი.
4. ბერიძე 1938 – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა; საბ 1912; ქართველურ ენათა ლექსიკა I, თბილისი.
5. გურამიშვილი 1987 – დ. გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, კრებული შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო ს. ცაიშვილმა, თბ., 1987.
6. ეზეპ. – ეზეპიელის წიგნის ძელი ქართული გერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თ. ცქიტიშვილმა, თბ., 1976.
7. გაისმანი 1991 – А. Д. Вейсман, Греческо-русский словарь, Москва.
8. კლიმოვი 1964 – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.
9. მენოქშ. 1970 – სტ. მენოქშაშვილი, ქართლურის სალექსიკონო მასალა (ალგეთის ხეობა), იკე XVII, თბილისი.
10. ნიუარაძე 1971 – შ. ნიუარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი.
11. რუსუდ. 1957 – რუსუდანიანი, ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურა, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957.
12. საბა 1992 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა,

- გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის საძიებელი  
დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1992.
13. **სუხიშვილი 2006** – მ. სუხიშვილი, მასალები ეტიმოლო-  
გიური ლექსიკონისათვის, „არნოლდ ჩიქობავას საკი-  
თხავები“ XVII, თბ.
  14. **ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – პ. ფენრიხი, ზ. სარჯველა-  
ძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ.
  15. **ფიფია 1999** – დ. ფიფია, მეგრულ-ქართული სალექსიკო-  
ნო მასალები, თბ.
  16. **ქართლ. 1981** – ქართლური დიალექტის ლექსიკონი, შე-  
მდგენლები თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზა-  
ძე, თბ.
  17. **ქაჯაია I, 2001** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკო-  
ნი I, თბ.
  18. **ქაჯაია III, 2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსი-  
კონი III, თბ.
  19. **ქაჯაია IV, 2009** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსი-  
კონი IV, თბ.
  20. **ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი I-  
VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964.
  21. **ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ.
  22. **ღლონტი 1984** – ა.ლ ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა  
სიტყვის კონა, II გამოცემა, თბ.
  23. **ყარამ.** – ყარამანიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს,  
წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთეს ა. გვახარიამ  
და ს. ცაიშვილმა, თბ., 1965.
  24. **ჩიქობავა 1938** – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართუ-  
ლი შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.
  25. **ჩუბინაშვილი 1984** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული  
ლექსიკონი, II გამოცემა, გამოსცა ა. შანიძემ., თბ.
  26. **ჭინჭარაული 1960** – ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავი-  
სებურებანი, თბ.

## Murman Sukhishvili

### Towards the Megrelian correspondence of Georgian *benzy-* stem

#### Summary

A Megrelian **baržy-** stem (**baržy-i** ‘branching’, ‘spreading (of branches) out wide’, **baržy-a** ‘colored’, **baržy-u-a** ‘to dazzle/enchant (from light)’ should be a correspondence of Georgian **benzy-** stem (**benzy-i** ‘crude metal’, **da-benzy-a** ‘He made it unwrought metal’, **da-benzy-il-i** 1. ‘to make unwrought metal’, 2. ‘destroyed rock’. Semantics of ‘branching’ and ‘dazzling’ is inter-conditioned in Megrelian, cf.: **baržy-a** ‘colored’ – ‘**qa baržy-a**’ ‘(stag) with branching antlers’ word by word ‘horn-colored’.

From phonetic stand point among the Georgian and Megrelian stems under compare correspondenceness is reserved: Georg. **benzy-** : Megr. **baržy-**. There is a certain obstacle: Georgian **n-** in Megrelian relevant stems corresponds with **n-**, though there is also a corresponding Georg. **n-** : Megr. **r-**. Thus, this fact can not be obstacle for proof of the correspondenceness of the Georg. **benzy-** : Megr. **baržy-** stems.

Correspondenceness of Georg. **benzy-** and Megr. **baržy-** stems should be researched from semantic view point as well. Georg. **benzy-i** is a name of mixture of various metals and dazzling and sparkling are physical (optic) features of metals. This feature of metals is realized in Megrelian stems: **baržy-a** ‘colored’, **baržy-u-a** ‘to dazzle/enchant’.

## ნათია ფონიავა

### ორი ქართველური ტოპონიმის ეტიმოლოგიური ანალიზისათვის (ჭარნალი, კურზუ)

როგორც ცნობილია, ტოპონიმია ენის ლექსიკური ფონდის შემადგენელი ნაწილია და იქმნება სათანადო ენის სტრუქტურის შესაბამისად. ტოპონიმები თაობიდან თაობას გადაეცემა, საუკუნეებს უძლებს და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ხალხის ენის, ისტორიის, კულტურულ-პოლიტიკური წარსულის შესახვავიდად.

სტატიაში ეტიმოლოგიური ანალიზის საგანია ორი ქართველური ტოპონიმი – ჭარნალი და კურზუ.

1. **ჭარნალი** სოფლის სახელწოდებაა აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონში. მდებარეობს მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე. ამავე სახელს ატარებს სოფელში გამავალი მდინარეც. ჭარნალში ქართველებთან ერთად ცხოვრობენ XIX ს-ის II ნახევარში აფხაზეთიდან გადმოსახლებულ მუშაჯირთა შთამომავლები, თუმცა მათ მხოლოდ აფხაზური გვარები აქვთ შერჩენილი, მშობლიურ ენას არ ფლობენ.

მოქმედების განმარტებით, სოფლის ტერიტორია ჭაობიანი ყოფილა და ამიტომ დაურქმევიათ ეს სახელი. ჩვენთვის მისაღებია ინფორმატორთა მოსაზრება ტოპონიმის მოტივაციასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, ჭარ-ნალ-ი მიღებულია დისიმილაციის გზით ჭარ-ნარ- ფორმისაგან (ჭარ-ნალ-ი < ჭარ-ნარ-ი). ჭარ- ჭაობის აღმნიშვნელი ფუძე ჩანს, -ნარ კი სუფიქსი, რომელიც რადაცის ერთობლიობას, კრებითობას, სიმრავლეს გამოხატავს (ის ძირითადად მცენარეთა სახელებს დაერთვის, მაგრამ გვაქვს სხვა ჯგუფის სახელებთანაც – თიხნარი, ქვიშნარი). მაშასადამე,

ჭარნალი ყოფილია ადგილი, სადაც ბევრი ჭაობია. ამის თქმის საფუძველს გააძლევს რაჭულ და იმერულ დიალექტებში დადასტურებული ჭარ- ფუძე: ჭარ-ი || ჭარ-ო „წყლიან-ბალახიანი ველი“ (შდრ. ჭაობი „დამდგარწყლიანი ადგილი დაბლობში“) [ქეგლ].

2. სოფელი კურზუ მდგბარეობს მარტვილის რაიონში. აღნიშნული ლექსემა მეგრულში ასეთი მნიშვნელობითაც იხმარება: „ბორცვი; ამობურცული, შემაღლებული ადგილი“ [ქობალია 2010]. ეს სიტყვა დასტურდება კნინობითის ფორმითაც: კურზულე || კურზულია „მცირე ბორცვი; შემაღლება ვაპეზე. შდრ. ეკურზუ- ელი. კურზულია „ბორცვაკი“ [ქაჯაია 2002].

3. ჭუმბურიძემ კურზუ დაუკავშირა ქართულ კუნძულ-ს. მისი აზრით, ამავე სიტყვისაგან არის მიღებული მარტვილის რაიონული ცენტრის ერთ-ერთი უბნის სახელწოდება – დიხაკურ-ზულე „ამაღლებული მიწა“, „მიწის ბორცვი“ [ჭუმბურიძე 1987, 459].

ვფიქრობთ, ლექსემა კურზუ კავშირში უნდა იყოს ქართულ კორძ- ძირთან, რომელიც ლექსიკონებში განმარტებულია ამგვარად: „დღიათა და საზარდელთა ჯირკვალი“ [საბა 1991]; „მუხლი“ [აბულაძე 1973]; 1. კვანძად გამაგრებული ამონაზარდი ადამიანის ან ცხოველის სხეულზე || აფადყოფური გამონაზარდი ხეზე; || ტექ. გამობურცული ადგილი ჩამოსხმულ ნაკეთობაზე. 2. კვანძივით მაგარი, გამაგრებული [ქეგლ].

სემანტიკასთან ერთად აღნიშნულ დაკავშირებას მხარს უჭერს ფორმობრივი მხარეც, ანუ დაცულია შესატყვისობის წესები: თ და ბოლოკიდური ა გადასულია უ-ში, თანხმოვნებში იდენტური შესატყვისობა გვაქვს, ძ-ს შემთხვევაში კი მომხდარია მეგრულისთვის დამახასიათებელი ძ-ზ მონაცვლეობა, შდრ. მეგრ. გოზღვარილ-ი || გოძღვარილ-ი „დასველებული, წყალში ამოვლებული“; ძღაფურსამ-ი || ზღაფურსამ-ი „ზღარბი“.

სამეცნიერო ლიტერატურაშიკორდ სიტყვაში რ განვითარებულად მიიჩნევა, ქართული \*კოძის კანონზომიერი ფონეტიკურ შესატყვისად სვანური კოჯ „კლდე“ [შენგაელია 2006, 159].

ჩვენი აზრით, ს.ქ. \*კოძ- > ქართ. კორძი : ზან. კურძ- („ბორცვაკი“ – ა. ქობალია) > კურზ.

**კურზ** ლექსემა მეგრულში დასტურდება რედუპლიცირებული სახეობითაც: **კურკუზია** „პატარა სიმრგვალე, ბურცი; პატარა ტანისა“, სადაც გაორმაგებული სიტყვის პირველ მარცვალში ამოვარდნილია ზ, მეორეში – რ: \*კურზკუზია > კურკუზია. საინტერესოა, რომ ლექსემურშიც გვაქვს კურკუზი და ნიშნავს „პატარა ტანის ადამიანს“ [ღლონგი 1974].

სამეგრელოში გვხვდება საანალიზო რედუპლიცირებული ფუძის შემცველი ტოპონიმები: **კურკუზა** – ბორცვი აბედათის ოქმში. **კურკუზია** ბორცვი აბედათში, ბჟერის მთისკალთაზე [ცხადაია, 2010].

შესაძლოა, საანალიზო ფუძეს უკავშირდებოდეს ლაზეთში დადასტურებული ტოპონიმი – **კურძულიშ ავლა** (ვიწე, ჭურჭავა) [Aleksiva, Bucaklışı 2009]. მთქმელთა განმარტებით, **კურძული** ლაზური გვარია და **კურძულიშ ავლა** ამ გვარის წარმომადგენლებით დასახლებულ უბანს ჰქვია. ლექსემა კურძუ // კურზუ ლაზურში ვერ დავადასტურეთ, მაგრამ მის ოდინდელ არსებობაზე, არ არის გამორიცხული, აღნიშნული გვარი მიგვანიშნებდეს, კერძოდ, ლაზ. **კურძ** მეგრ. **კურზ** ფუძის მსგავსად, შესაძლოა, ყოფილიყო \*„ამობურცული, შემაღლებული აღგილის“ აღმნიშვნელი ლექსემა, რომელიც -ულ წარმომავლობის სუფიქსის (შდრ. სარფი – სარფული „სარფელი“) დართვით გაფორმდა გვარად და დაერქვა ამ გვარის ადამიანებით დასახლებულ უბანს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. **აბულაძე 1973** – იღ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973;
2. **საბა 1991** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991;
3. **ქაჯაია 2002** – თ. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, თბ., 2002;
4. **ქვედა 1955** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, თბ., 1955;
5. **ქვედა 1964** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII, თბ., 1964;
6. **ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010;
7. **დლონტი 1974** – აღ. დლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1974;
8. **შენგელია 2006** – ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი, თბ., 2006;
9. **ცხადაია 2010** – პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, მარტივილის რაიონი, თბ., 2010;
10. **ჭუმბურიძე 1987** – ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987;
11. **Aleksiva, Bucaklışı 2009** – Irfan Aleksiva, Ismail Avci Bucaklışı, Svacoxo (Laz yer adları sözlüğü), Istanbul, 2009.

**Natia Poniava**

**Towards the etymologic analysis of two Kartvelian toponyms  
(Çarnali and ქurzu)**

**Summary**

In the article are analysed two Kartvelian toponyms – **Çarnali** and **ქurzu**. To my mind, toponym **Çarnali** means “boggy place” and comes from **Çarnari** (← **Çar-i**) by dissimilation. Toponym **ქurzu** means “risen, hilly place”. I suppose that it’s an equivalent to the common Kartvelian **\*Koʒ** root.

## მედეა ღლონტი

### საბუთარი სახელის პირგელსახელდებაზე<sup>1</sup>

მადლიერებით ვუძღვნი ჩემს მასწავლებელს,  
ბატონ ზურაბ ჭუმბურიძეს.

#### ბიბლიური უწყება პირგელსახელდებაზე:

ანტიკური პერიოდიდან მოკიდებული დღემდე, სახელდების პრობლემა ცხარე დისკუსიისა და პოლემიკის ობიექტს წარმოადგენს. მეოცე საუკუნეში იგი ენათმეცნიერების, ფიქოლოგიისა და ფილოსოფიის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად იქცა. სახელდება შეიძროდ უკავშირდება ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა: აზროვნების, ცნობიერებისა და მეტყველების (ენის) წარმოშობა და განვითარება, მეტყველების ფიქოლოგიური მექანიზმი, ენისა და ენობრივი ნიშის ბუნება, ენის შესწავლის მეთოდოლოგია, უცხო ენის შესწავლის მეთოდიკა და სხვა (ბაინდურაშვილი 1971, 3).

სახელდება გულისხმობს სიტყვის ქმნადობას, სახელის (მისი ფორმის) და მნიშვნელობის პირველდაკავშირებას. აღიარებულია, რომ სახელდების საფუძველი, საბოლოო ჯამში, ადამიანური ცნობიერების მიღმა რჩება: თითქმის შეუძლებელია სახელდების არჩევანის საფუძვლის, მისი მოტივის სრულად, ადეკვატურად გაცნობიერება (ბაინდურაშვილი 1971, 262). დიმიტრი უხნაძის მიერ, მისივე განწყობის თეორიიდან გამომდინარე, გამოთქმულია მოსაზრება:

„სიტყვასა და მნიშვნელობას განწყობა აშეალებს, მათ გაერთიანებას, მათ სინთეზს განწყობა უდევს საფუძვლად“<sup>2</sup>, რომლის დროსაც განწყობას განსაზღვრავს როგორც სახელდების

<sup>1</sup> წინამდებარე ნაშრომის ვრცელი ვარიანტი იბეჭდება ჟურნალში „რწმენა და ცოდნა“ (ჟურნალის რედაქციის მოძღვარი – იოანე (გამრეველი), რუსთავისა და მარნეულის მთავარეპისკოპოსი).

საგნის შინაარსი, ისე სახელდად შერჩეულ ბგერათა კომპლექსის თავისებურება (უზნაძე 1956, I, 28-29; IV, 184).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება, რომ სახელდებას ადამიანი ორგვარად ახორციელებს:

1. სახელისა და მნიშვნელობის დაკავშირებისას სხვა სიტყვები და მათი სემანტიკა არ არის გათვალისწინებული;

2. სახელდებისას გათვალისწინებულია მემკვიდრეობით მიღებული ენობრივი მასალა.

ეს უკანასკნელი სახელდების ბუნებრივი პროცესია და იგი დღემდე გრძელდება, ხოლო პირველი – საკუთრივ პირველსახელდებას, ანუ სახელთა პირველქმნადობას მიეკუთვნება (ბაინდურაშვილი 1971, 6-7).

ბიბლიური სწავლება ადამიანის ამეტყველებაზე, ანუ ენის გაჩენაზე, უშუალოდ უკავშირდება სახელის დარქმევას, პირველსახელდებას. წმიდა წერილში გაითხეულობთ:

„და თქუა დმერთმან: არა კეთილ არს ყოფად კაცი მარტო. უქმნეთ მას შემწე მისებრი. და შექმნნა უფალმან დმერთმან ყოველნი მშეცნი ველისანი და მფრინველნი ცისანი, და მოიყანნა იგინი ადამისა ხილვად, რამ უწოდოს მათ, და ყოველი, რომელი უწოდა მათ ადამ სულსა ცხოველსა, ესე არს სახელები მისი. და უწოდა ადამ სახელები ყოველთა საცხოვართა და ყოველთა მფრინველთა ცისათა და ყოველთა მშეცთა ქუეყანისათა, ხოლო ადამისი არა ეპოვა შემწე მსგავსი მისი“ (შესაქმე 2, 18-20).

„შესაქმის“ ამ ნაწყვეტში რამდენიმე მნიშვნელოვანი უწყებაა იმის შესახებ, თუ თავდაპირველად ვინ, სად, როდის, რატომ, რისთვის და როგორ მისცა სახელები ყველა ცოცხალ არსებას:

1. სახელების დასარქმევად ყველა ცოცხალი არსება თავად უფალმა დმერთმა მიუყვანა ადამს;

2. ღვთისაგან შექმნილ ცოცხალ არსებებს სახელები ადამ-მა შეარქება;

3. ცოცხალ არსებებს სახელები ადამის მიერ სამოთხეში მიეცათ;

4. ეს სახელები მათ ადამმა მანამადე მისცა, სანამ შესცოდავდა და სამოთხეს დაკარგავდა;

5. უფალმა ღმერთმა იმ მიზნით მიუყვანა მას ყველა ცოცხალი არსება, რომ ადამს მათგან ერთ-ერთი უნდა ამოერჩია თავის შემწედ.

წმიდა ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძე) სწავლებით, ადამიანი შემოქმედის მიერ ბოძებული სულის შემეცნებითი საშუალებებით (უნარებით) იმეცნებს სამყაროს, რაც მის (ადამიანის) მაღალ ცნობიერებაზე მეტყველებს. წმიდა მამა ასკვნის: აზოვნების თავდაპირებელი (ჩვილობის დროინდელი) პროცესი ყველა ადამიანში ერთნაირად იმ მიზეზით სრულდება, რომ „სული ბუნებრივად მოქმედებს იმ წესებით, რომლებიც მას მისცა შემოქმედმა“ (ეპისკოპოსი გაბრიელი, 103-104).

წმიდა ეპისკოპოსის მოწმობით, **ცნება** ერთობლიობაა სულის ყველა უნარისა – ყერადდებისა, მსჯელობისა, დასკვნისა, წარმოსახვისა და მეხსიერებისა. ადამიანი სწორედ **ცნებების** მეშვეობით ითვისებს ცოდნას და იძენს გამოცდილებას (ეპისკოპოსი გაბრიელი, 55).

ეს მით უფრო ითქმის სამოთხის მკვიდრის მაღალ, შეუბდალაგ – პირველქმნიდ ცნობიერებაზე.

ძველი ანტიკური სიბრძნე გვამცნობს: „**ვინც იცის სახელი – მან იცის საგანი**“ (ტრონსკი 1936). თუმცა სამოთხისეული პირველსახელდების პროცესი ამ სიბრძნეს წინაუკმოდ გვიმოწმებს – „**ვინც იცის საგანი – მან იცის სახელი**“, რომლითაც სრულად აღიბეჭდება ადამისეული პირველსახელდების აქტის ფორმულირება: მიეცა რა უფალი ღმერთის კურთხევა სამყაროს ქმნილებათა პირველსახელდებისა, ადამმა დვოიგბოძებული ნიჭებით **ჯერ მოიხილა** (შდრ.: „უფალმან ღმერთმან... მოიყვანნა იგინი ადამისა ხილვად...“), ანუ **განჯვირიტა, გააცნობიერა, შეიმეცნა ცოცხალი არსებები და ამის შემდეგ უწოდა მათ სახელები** (შდრ.: ბაინდურაშვილი 1971, 254).

ასე რომ, **ცნებათა პირველშემქმნელიც** ადამი გახლავთ, რადგან ამგვარი სამოთხისეული პირველსახელდებით ადამის ხელთ აღმოჩნდა **პირველცნებათა სისტემა**. ცხადია, სამოთხის პირველმკვიდრი დვოის მიერ ქმნილ სამყაროს ამავე სისტემის, ანუ პირველცოდნის მეშვეობით შეიმეცნებდა, რომელიც მან სა-

მყაროს სახელდებით შეიძინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამი (ადამიანი), თავისი გამორჩეულად მაღალი გონიერებით, ჟეშმარიტად დათის ქმნილებათა გვირგვინია.

ძველთაგან ასევე თქმულა: „სახელის მნიშვნელობის ცოდნა – საგნის ფლობის საწინდარია“ (ტრონსე 1936). წმიდა იოანე ოქროპირის განმარტებით (იოანე ოქროპირი 1993; ლოპუხინი 1904), დვოიგმონიჭებული უფლება ადამისი, იყოს ყველა ცოცხალი არსების სახელმდებელი, იმაზეც მიუთითებს, რომ ადამი არის სახელდებულთა პატრონი, ბატონი, მათი მფლობელი, რასაც წმიდა წერილი საგანგებოდ, სამგზისი განმეორებით გვიდასტურებს, შერ:

„და თქვა დმერთმან: გქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩუჯნისა და მსგავსებისაებრ. და მთავრობდეს თევზთა ზღუსათა და მფრინველთა ციხათა და პირუბეულთა და ყოველთა და მცეცოა ყოვლისა ქუჯანისა და ყოველთა ქუჯწარმაგალთა, მაგალთა ქუჯანასა ზედა. და შექმნა დმერთმან კაცი. ხატებად დმრთისა შექმნა იგი. მამაკაცად და დედაკაცად ქმნა იგინი. და აკურთხნა იგინი დმერთმან, მეტყუელმან: აღორძნდით და განმრავლდით და ადაგსეთ ქუჯანა და უკვლენით მას და მთავრობდით თევზთა ზღუსათა და მფრინველთა ციხათა და ყოველთა ქუჯწარმაგალთა, მაგალთა ქუჯანასა ზედა. და თქვა დმერთმან: აპა მიგეც თქუენ ყოველი თივა სათესავი, მთესველი თესლისამ, რომელ არს ზედა ყოვლისა ქუჯანისა. და ყოველი ხე, რომელსა აქეს თავსა შორის თვესა ნაყოფი თესლისამ სათესავი, თქუენდა იყოს საჭმელად და ყოველთა მცეცოა ქუჯანისათა და ყოველთა მფრინველთა ციხათა და ყოვლისა ქუჯწარმაგალისა, რომელი ვალს ქუჯანასა ზედა, რომელსა აქეს თავსა შორის თვესა ხელი სიცოცხლისა, და ყოველი თივა მწუანვილისა – საჭამადად. და იქმნა ეგრეთ“ (შესაქმე 1, 26-28).

ასევე, წმიდა დავით მეფესალმუნე ბრძანებს:

„დააკლე იგი მცირედ რაღმე ანგელოზთა, დიდებითა და პატივითა გპრგპნოსან-ჰყავ იგი. და დაადგინე იგი ზედა ქმნელსა ტელთა შენთასა, ყოველივე დაამორჩილე ქუშე ფერგოთა მისთა. ცხოვარი და ზროხად ყოველივე, მერმეცა და პირუბეული ველი-

ხანი, მფრინაველნი ციხანი და ოუგზნი ზღვსანი, რაოდენნი კლებან ალაგებსა მას ზღუათასა“ (ფსალმუნი 8, 6-9).

წმიდა ოთანე თქროპირი პარალელს ავლებს: „ადამიანები დღემდე ავლენენ საკუთარ ძალაუფლებას იმით, რომ მონების ყიდვისთანავე სახელებს უცლიან მათ. ასევე დმერთი ავალდებულებს ადამს, როგორც მეფეს, სახელები დაარქვას ყველა პირუტყვას“. წმიდა მამა ადამს მეფედ იხსენიებს და იმას გულისხმობს, რომ ადამი მეფედ, ანუ ყოველთა ცოცხალთა მეუფედ და მფლობელად მას შემდეგ შეიქნა, რაც მათ სახელები უწოდა (ლოპუხინი 1904; საღმრთო წიგნთა განმარტება 2003, 50).

კაცობრიობამ დღემდე შეინარჩუნა სახელის დარქმევით გამჟღავნებული ბატონობა თუ პატრონობა სახელდებულის მიმართ. საკუთარი სახელის დარქმევით გამოიხატება სახელმდებლის როგორც სურვილი, ისე დამოკიდებულება სახელსადებისა და შერჩეული სახელის მიმართ (ბაინდურაშვილი 1971, 14). ამის გამოძახილია ახალშობილის სახელის დარქმევის ტრადიცია: ჩვილის სახელის დარქმევის უფლება, როგორც წესი, ეკუთვნით მშობლებს ან ნათლიას, ან კიდევ თავად უფალი ანგელოზის პირით განუცხადებს სახელს და ამგვარად უთითებს ახალშობილის დვორემონიჭებულ მისიაზე. ყველა შემთხვევაში სახელის დარქმევით ახალშობილს სახელმდებლის პატრონობის ბეჭედი ესმება.

ამ მხრივ საინტერესოა ქართული ენობრივი მონაცემი: ქართულში ბავშვს დაბადებამდე პქვია – ნაყოფი, ანუ „დედის წიაღში ნამყოფი“, დაიბადება და – მას ახალშობილს (შობილს) ან ჩვილს ვეძახით, ხოლო შვილად იგი უკვე სახელის დარქმევის შემდეგ იწოდება. გავიხსენოთ, რომ ნათლისღების წმიდა საიდუმლოს აღსრულებით ნათელდებულის დგთის შვილობა დასტურდება!

**ადამიანის საკუთარი სახელის (ანთროპონიმის) პირველსახელდება:**

უაღრესად საგულისხმოა ადამისეული პირველსახელდების უზენაესი მოტივი, მოტივირება და მიზანდასახულობა.

ადამისეული პირველსახელდების უზენაეს მოტივსა და მიზანდასახულობაზე წმიდა წერილი უშუალოდ გვითითებს: „და ოქუა ღმერთმან: არა კეთილ არს ყოფად კაცი მარტო, უქმნეთ მაგას შემწე მისებრი“ (შესაქმე 2, 18) – მაშასადამე, პირველსახელდების მიზეზი (მოტივი) არის ადამის მარტოდმყოფობა, რაც ღვთისათვის „არა კეთილ არს“, ხოლო მიზანი – ადამის მიერ საპუთარი შემწის „პოვნაა“ ადამისგანვე სახელდებულ ცოცხალ არსებათა შორის.

რაც შეეხება მოტივაციას, მას განსაზღვრავს წმიდა წერილში აღბეჭდილი რამდენიმე უმნიშვნელოვანების საღმრთო უწყება:

1. კაცი, ადამი, შეიქმნა ყოვლადწმიდა სამება ღმერთის სამივე პირის (მამა ღმერთის, ძე ღმერთის და სულიწმიდა ღმერთის) მონაწილეობით, რასაც წინ საგანგებოდ უძღვდა უზენაესი საღმრთო ბჭობა: „შევქმნათ კაცი ჩვენი ხატებისაებრ და მსგავსებისაებრ“ (იხ. შესაქმე 1, 26-27). წმიდა მამათა განმარტებით, შესაქმნეული ბჭობა მიგვანიშნებს კაცის, ადამიანის უმაღლეს, უზენაეს დირსებაზე, კერძოდ, იმაზე, რომ შემოქმედი ღმერთის კეთილი ნებით და განზრახვით, მის მიერ ქმნულთაგან მხოლოდ ადამიანმა მიიღო სამება ღმერთის ხატი (ბუნებით) და მსგავსება (ნებით) (დამასკელი 2000, 360-361);

2. ადამისეული პირველსახელდებით წარმოჩნდა კაცის ღვთივბოძებული მოაზროვნე გონისმიერი სული („სული სიტყვარი და გონიერი“) და დიდი სიბრძნე („სიბრძნე უაღრესი“), რაც მოასწავებს ღვთის ხატის არსებობას ადამიანში (დამასკელი 2000, 361);

3. ადამი (ადამიანი) დადგინდა ყოველთა ცოცხალთა არსებათა მბრძანებლად და პატრონად, რაც გაცხადებულია უფალი ღმერთის ნებით – ადამმა თავად განახორციელოს ამ არსებათა პირველსახელდება (და რაც, თავის მხრივ, პირველსახელდების ერთ-ერთ მიზანდასახულობასაც შეადგენს);

4. დაბოლოს, ადამმა საკუთარი სიმარტოვე განიცადა ცოცხალ არსებათა სახელდების შემდგომ, ანუ იმის გაცნობიერებით, რომ ამ არსებათაგან: „ადამისი არა ეპოვა შემწე მსგავსი

მისი“ (შესაქმე 2, 20). ამასთან ერთად, განიმარტება, რომ, უფლის ნებით, ადამისთვის მაშინ უნდა შექმნილიყო მისი მსგავსი შემწე, როცა იგი (ადამი) ცხადად იგრძნობდა თანაშემწის საჭიროებას (საღმრთო წიგნთა განმარტება 2003, 50). მართლაც, უფალმა ღმერთმა სწორედ ამის შემდეგ შექმნა დედა-კაცი ადამისავე (resp. კაცისავე) გვერდისგან და იგი მიუყვანა შემწედ (შესაქმე 2, 21-25).

უერადსალებია ადამის და ადამის შემწის – ცოლის – სახელდების განვითარება:

ცოდვათდაცემამდე ადამის შემწე იხსენიება საზოგადო სახელით ცოლი (ებრ. օՇშა), რომლითაც გამოიხატება ადამის შემწის დანიშნულება: ებრ. օՇშა მომდინარეობს „ქმრის“ აღმნიშვნელი ებრ. օՇ-იდან. პირველი ქალის აღმნიშვნელი სიტყვის ამგვარი წარმომავლობა (օՇ „ქმარი“ —> օՇშა „ცოლი“) მიანიშნებს ქალის ბიბლიურ შესაქმეზე, შდრ.: „და დასდგა ღმერთმან განპარვებად ადამს ზედა და დააძინა და მოიღო ერთი გუერდთა მისთა და აღავსო ჭორცითა მის წილ. და აღუშება უფალმან ღმერთმან გუერდი, რომელი მოიღო ადამისგან, ცოლად და მოიყვანა იგი ადამისა. და თქეა ადამ: ესე აწ ძუალი ძუალთა ჩემთაგან და ჭორცი ჭორცითა ჩემთაგან. ამას ეწოდოს ცოლ, რამეთუ ქმრისა მისისაგან მოღებულ იქმნა იგი“ (შესაქმე 2, 21-23).

ამის მსგავსად, ებრ. ადამ(ა) მნიშვნელობით „თიხა, წითელი მიწა“ გვითითებს სამოთხის პირველმკვიდრის (კაცის, ადამიანის) ბიბლიურ შესაქმეზე (ნიუსტრეგმის ლექსიკონი), შდრ.: „და შექმნა უფალმან ღმერთმან კაცი მტუერისა მიმღებელმან ქუებანისაგან, და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისამ და იქმნა კაცი იგი სულად ცხოველად“ (შესაქმე 2, 7).

ცოდვათდაცემის შემდეგ კი ადამმა ცოლს მისცა საკუთარი სახელი, მნიშვნელობით „ცხორება“, ანუ „სიცოცხლე“ (ებრ. ხავვა —> ევა): „და უწოდა ადამ ცოლსა თუსსა: ცხორებამ“ (შესაქმე 3, 20). უაღრესად საგულისხმოა, რომ ეს სახელი ადამმა ცოლს მას შემდეგ მისცა, რაც უფალმა თავისი კურთხევა დაასრულდა და ორივეს დაუდგინა „მიწად მიქცევა“, ანუ სიკვდილი: „ოფლითა პირისა შენისამთა სჭამდე პურსა შენსა ვიღრე

მიქვევადმდე შენდა მიწად, რომლისაგან მოღებულ იქმებ, რამე-  
თუ მიწა ხარ და მიწადცა მიიქცე“ (შესაქმე 3, 16-19).

საეკლესიო განმარტებით, ეს პარადოქსული სახელდებითი  
გარემოება აისხება ადამის რწმენით დვთის აღთქმისა და წი-  
ნასწარმეტყველებისადმი ქალის მისიაზე სიკეთისა და ბოროტე-  
ბის ბრძოლაში: **პირველი ქალი – ცოლი ადამისი ცოდვით დაცვ-  
მის ერთ-ერთი მიზეზი იყო, მაგრამ სიცოცხლის აღმდგენელი იქ-  
ნება მეორე ევა, ქალწული-ევა – ანუ მეორე ადამის (ქრისტე  
მაცხოვრის) დედა, ყოვლადწმიდა დმრთისმშობელი** (იოანე ოქ-  
როპირი 1993; ლოპუხინი 1904; საღმრთო წიგნთა განმარტება  
2003, 56-57).

მაშასადამებ, ევა (ეპრ. ხავვა „სიცოცხლე“) ადამისეული სა-  
ხელდებით ჩენილი პირველი საკუთარი სახელია, რომელიც  
ადამის შემწის (ცოლის) თავდაპირველ აღმნიშვნელს ჩაენაცვლა.

ამისგან განსხვავებით, საზოგადო სახელი ადამ (— ეპრ.  
ადამ(აქ) „თიხა, წითელი მიწა“) პოლისემიურია და იგი ქარ-  
თულშიც ინარჩუნებს ამ მრავალმნიშვნელიანობას, უმთავრესად  
– ფრაზეოლოგიზმებში (ხახიაშვილი 2010, 86).

ბიბლიაში ადამ გვხვდება ნაწევრით ან მის გარეშე.  
უნაწევროდ ადამ გამოხატავს არა საკუთრივ პირველი კაცის  
(ადამის) სახელს, არამედ საზოგადოდ ადამიანს, როგორც მამა-  
კაცს, ისე – დედაკაცს, ქალს: „შევქმნათ კაცი (ადამ) ჩვენი  
ხატებისაგრ და მსგავსებისაგრ“ (შესაქმე 1, 26);  
ხოლო ნაწევრიანი ადამ გამოხატავს არა ადამიანის აღმნიშვნელ  
საზოგადო ცნებას, არამედ კონკრეტულ ადამიანს, კერძოდ,  
ბიბლიურ ადამს – სამოთხის პირველმკიდრს (ლოპუხინი 1904;  
ხახიაშვილი 2010, 86).

ქართ. ადამიანი თავდაპირველად IX-X სს-ის ხელნაწერებ-  
ში დასტურდება. ქველ ქართულში ადამიანის აღმნიშვნელი ცნე-  
ბა, როგორც წესი, გადმოიცემა სიტყვით კაცი, თუმცა იგივე  
ცნება ასევე გამოხატულია დამოუკიდებელი სიტყვით ადამი  
(ხახიაშვილი 2010, 85, 88), შდრ. სალექსიკონო განმარტებანი:

„ადამიანი ადამისგამონი“; „ადამიერი ადამის ერთაგანი“;  
„ადამის ტომი ადამის ტომთაგანი“ (სულხან-საბა 1991-1993);

„ადამიერი человеческий, კაცობრივი“ (ჩუბინაშვილი 1984) – რომლებშიც ადამ-ის საღვთისმეტყველო შინაარსია წარმოქენილი.

თუმცა იგივე ლექსიკოგრაფები ასევე საგანგებოდ აღნიშნავენ ებრ. ადამ-ის მეორე სემანტიკურ კვალიფიკიას – ადამი „პირველი ადამიანის საკუთარი სახელი“. სულხან-საბა ადამ-ის ამგვარ კვალიფიკიას აფიქსირებს ცალკე სალექსიკონო თავში – „თარგმანი ქვეყანათა და კაცთა სახელებისა“:

„ადამ კაცი, გინა ქვეყნიერი, გინა მეწამული, გინა მიწა განკაცებული, გინა ქვეყანა ქალწული. გინა ქვეყანა განხორციელებული“ (სულხან-საბა 1991-1993); შერ.: „ადამი სახელი პირველი კაცისა; კაცი“ (ჩუბინაშვილი 1984).

მსგავსად ამისა განიმარტება ადამი ქეგლ-ში: „ადამი (ადამისა) ბიბლიური გადმოცემით – პირველი კაცის საკუთარი სახელია: მაშინ ადამისა და ეგას მეტი არავინა ყოფილა, და ადამი თავის თავზე თავადი ხომ არ იქნებოდა?“ (ილია). შერ.: „და უქმნნა უფალმან დმიერთმან ა დ ა მ ს და ცოლსა მისაა სამოსელნი ტყავისანი და შექმოსნა მათ“ (შესაქმე 3, 21).

ქართულში მოგვიანებით სიტყვა ადამი (როგორც – ევა) ჩვეულებრივ ანთროპონიმადაც გვევლინება: „მეთექუსმეტი მეფე ადამი, ძე ფარსმან ქველისა“ (ქართლის ცხოვრება), და გვარებშიც დასტურდება: ადამაძე, ადამაშვილი, ადამია (ხანიაშვილი 2010, 87).

### საკუთარი სახელით აღბეჭდილი საღმრთო დანიშნულება:

ადამიანის სახელი (ანთროპონიმი), მისი სახელდება, როგორც წესი, უგავშირდება ბავშვის დაბადების დღეს ან მის შემდეგ მომხდარ რაიმე ღირსახსოვარ ფაქტს, შემთხვევასა თუ გარემოებას. წმიდა წერილში კი შვილის სახელით მშობელი, როგორც წესი, გამოხატავს თავის მრწამსს, საკუთარ დამოკიდებულებას საღმრთო განგებულებისადმი. მაგალითად, ეგას პირმშოს სახელი კაენი (შესაქმე 4, 1-2), მნიშვნელობით „შენაძენი, მოგება“, მიუთითებს დედის სასოებაზე, რომ ეგასგან, ანუ „ხი-

ცოცხლისგან“ (უფრო სწორად – მეორე ევასგან) ნაშობი იქნებოდა დავთის მიერ აღთქმული მხსნელი. აბელი კი, მნიშვნელობით „პაერი; ამაოება“ ან „ცრტმლი“ (იოსებ ფლავიუსი), მეორე ვაჟს იმ მიზეზით უწოდა დედამ, რომ ამაო აღმოჩნდა სასოება კაენზე. ადამის და ევას მესამე ვაჟის სახელით სეითი (შეთი), მნიშვნელობით „ანაზღაურება, აღდგენა“, წმიდა წერილი კვლავ ევას სასოებაზე მიგვანიშნებს (შესაქმე 4, 25) (ნიუსტრემის ლექსიკონი; ლოპუხინი 1904; საღმრთო წიგნთა განმარტება 2003, 60. 62).

წმიდა წერილში თითქმის ყველა სახელდებულის საღვთო დანიშნულება აღიბეჭდება საკუთარი სახელით, რომელთა სემანტიკა, უმეტესწილად, გადმოიცემა შესიტყვებით, მაგალითად: ექ-მანუილ „ჩუენთან არს ღმერთი“ (ესაია 7, 14); იაკობის და ლეას ძე რუბენი (ებრ. ოეუბენ) „აი ძე; შეხედე ძეს“ (შესაქმე 29, 32) და სხვა (ნიუსტრემის ლექსიკონი).

თუმცა, ყველა შემთხვევაში, ბიბლიური ანთროპონიმის განმსაზღვრელი უზენაესი განგებულებადა: იოანე ნათლისმცემლის მშობლებს, ზაქარიას და ელისაბედს, წმიდა გაბრიელ მთავარანგელოზის პირით ეუწყაო, რომ შვილისთვის იოანე უნდა დაერქმიათ (ლუკა 1, 13). ასევე წმიდა გაბრიელ მთავარანგელოზმა აუწყა ქალწულ მარიამს, რომ ახალშობილს უნდა მოსცემოდა სახელი იესუ (ებრ. იეჟუ) (ლუკა 1, 31).

ამ მხრივ, გამორჩეულია ჩვენი უფლის საკუთარი სახელი – იესუ ქრისტე (ებრ. იეჟუ მეშიახ), რომლის პირველი კომპონენტი – იესუ (იეჟუ) ითარგმნება როგორც „იეღოვა (ანუ ღმერთი) იხსნის, გადაარჩენს“, ხოლო ქრისტე არის ბერძნული ეკვივალენტი „ცხებულის“ მნიშვნელობის ქრისტე ებრაული მეშიახისა („მესია“) და, მაშასადამე, ქრისტე წარმოშობით საზოგადო სახელია. აქედან გამომდინარე, განხორციელებული უფლის საკუთარი სახელი იესუ ქრისტე თავისი მრჩობლი სემანტიკით გვაუყებს, რომ იგია – „მხსნელი ღვთივცხებული“.

ბიბლიაში, არცთუ იშვიათად, მოზრდილი ადამიანი თავის სახელს იცვლის ან მას სხვა უცვლის სახელს. ამის მაგალითებია:

**კევა „კლდე“** (ბერძნ. ოქტომბერი), რომელიც სფიმონს უფალმა იქსომ შეარქვა (იოანე 1, 42); **ბართლომე** (მათე 10, 3; მარკოზი 3, 18; ლუკა 6, 14) წმიდა იოანეს სახარებაში ნათანაელად იხსენიება (იოანე 1, 45; 21, 2). განმარტავენ, რომ მისი ნამდვილი სახელი უნდა იყოს **ნათანაელი**, ხოლო **ბართლომე**, რამდენადაც იგი სიტყვასიტყვით ნიშნავს **ბარ „ძე“ + „თოლომისა“**, ანუ „თოლომის ძე“ – ეს სახელი ნათანაელის წარმომავლობას გვაუწყებს (ნიუსტრემის ლექსიკონი).

უზენაეს განგიბულებასთან ერთად, წმიდა წერილში ტოპონიმად ქცეული ანთროპონიმით ერის **უზენაესი დანიშნულებაც** ცხადდება. გავიხსენოთ **იაკობის** ღვთისაგან ბოძებული სახელი – **ისრაელი** (შესაქმე 32, 28-30), რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ღვთის გმირი, ღვთის რჩეული“. ოუმცა იგივე **ისრაელი** (ან **ისრაელის ძეები**) ასევე არის ეთნონიმი და იაკობისაგან წარმომდგარი ებრაელი ერის საგანგებო სახელწოდებას წარმოადგენს (შესაქმე 34, 7; გამოსლვათა 3, 16 და სხვა), ხოლო **ისრაელი**, **ისრაელის მიწა** (1 მეფეთა 13, 9), **ისრაელის სამეფო** (3 მეფეთა 12, 9) – ებრაელთა საცხოვრისის აღმნიშვნელი ტოპონიმის ნაირსახეობებია (ნიუსტრემის ლექსიკონი).

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ახალი აღთქმა 1995** – ახალი აღთქმად უფლისა ჩუენისა იქსო ქრისტესი. საქართველოს საპატიოარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1995.
2. **ბაინდურაშვილი 1971** – აკაკი ბაინდურაშვილი, სახელდების ექსპერიმენტული ფსიქოლოგია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1971.
3. **დამასკელი 2000** – წმიდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა. ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსებ იყალთოელისა), გამოსაცემად მოამზადეს რომან

მიმინოშვილმა და მაია რაფავამ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფავამ, ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისის სახულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2000.

4. **ლოპუხინი 1904** – ბიბლიის განმარტება ა. პ. ლოპუხინისა. I ტ., 1904-1907; III ტ., 1910, 1913, პეტერბურგი, (რუსულ ენაზე).
5. **ნიუსტრემის ლექსიკონი 1985** – ბიბლიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. შეადგინა ერიკ ნიუსტრემმა, ტორონტო, კანადა, 1985 (რუსულ ენაზე).
6. **ეპისკოპოსი გაბრიელი 1993** – ეპისკოპოსი გაბრიელი (ქოქოძე), ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისის სახულიერო აკადემიისა და სემინარიის გამოცემა, 1993 (გვ. 46-55; 102-103).
7. **ივრით-რუსული ლექსიკონი**, შეადგინა ფ.ლ. შაპირომ, მოსკოვი, 1963.
8. **იოანე ოქროპირი 1993** – წმიდა იოანე ოქროპირი, თარგმანებად იოანეს სახარებისა. თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, თბილისი, I, II, 1993.
9. **საღმრთო წიგნთა განმარტება 2003** – სახელმძღვანელო ძველი აღთქმის საღმრთო წიგნთა შესასწავლად. მოსეს ხეთი წიგნის განმარტება, მთარგმნელი და გამმართველი წილკნისა და დუშეთის მთავარეპისკოპოსი ზოსიმე, თბილისი, 2003.
10. **სულხან-საბა** 1991 – სულხან-საბა თრბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი, I – 1991; II – 1992.
11. **ტრონსეი 1936** – ი. მ. ტრონსეი, ენის პრობლემა ანტიკურ შეცნიერებაში. წიგნში: „ენისა და სტილის ანტიკური ოქონიები“, 1936.
12. **უზნაძე 1956** – დიმიტრი უზნაძე, სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები. შრომები, ტ. I, 1956; ტ. IV.

13. ფსალმუნი 2006 – ფსალმუნი. ახალი შესწორებული გამოცემა მოამზადა ედიშერ ჰელიძემ, საეკლესიო ბიბლიოთება, IV, გამომცემლობა „ახალი ივირონი“, თბილისი, 2006.
14. ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964.
15. ჩუბინაშვილი 1984 – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1984.
16. წიგნი 1989 – წიგნი ძეელისა აღთქუმისანი. ნაკვეთი I, შესაქმისავ, გამოსლვათავ, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ. გამოკვლევა ბაქარ გიგინეიშვილისა. „მეცნიერება“, 1989.
17. ხახიაშვილი 2010 – ნინო ხახიაშვილი, ცნება ადადმიანის დამკვიდრების გზა ქართულ ენაში, ქურნალი „რელიგია“, № 3, 2010, გვ. 84-95.

## **Medea Glonti**

### **Towards giving the first-proper names**

#### **Summary**

The “Genesis” (2, 18-20) consists of some information whether who, where, when, why, what for and how gave the names to the all alive things. By the God’s blessing firstly Adam realized the alive things and then gave them the names. Adam’s motivation about giving the name could be taken into account. The God subordinated all alive things to Adam in order to find a helper among them. **Eva** (Jewish **xavva** “life”) is the first proper name given by Adam, but Jewish **Adam (ah)** by meaning “clay, the red ground” which is a common in origin.

In the Bible every proper names have theological function.

## ეთერ შეცხალია

### ბაბ-ლ- ფუძის შესატყვისობისათვის ლაზურში

ქართული ენის ქართლურ დიალექტში გამოვლენილია ლექსიკური ერთყული ბაბ-ლ-ი და მისი მრავლობითი რიცხვის ფორმა ბაბ-ლ-ებ-ი, რომელსაც უდასტურდება მნიშვნელობები:

ბაბლი<sup>1</sup> – საბნის ქვედა პირის გადმონაკეცი გულის გარშემო; საბანზე შეკერილი სამკუთხა სახე; საბნის თავსა და ბოლოში მოკერებული ნაჭრები (სხვა ქსოვილისა); სამკუთხა ნაჭრები, რომლებისაგანაც იკერება საბანი (ე.წ. ნაჭრების საბანი). ბაბლის საბანი:

**ბაბლები** ღქონდა საბანსა; საბან რო შავკერამდით, ფეხი ჩითი დიდი უნდა ეგველო გულზედა, იმავ ზეიდან გულზე გადმუაფენდით და ვეტყვდით ბაბლებსა. ეგ რამოტელა ბაბლები მოუიდა მაგ საბანსა, გული კი აღარ უჩამს კარგათა;

ბაბლ-ი<sup>2</sup> – მუთაქის პირის თავები (სხვა ქსოვილისა):

თუ კარქი ნაჭერია მუთაქის პირი, ბაბლებსაც კარქს ააკერებენ, თუ უბრალოა, მაშინ ბაბლებსაც უბრალოს უკეთებენ;

ბაბლ-ი<sup>3</sup> – ტანისამოსის განაკერში ჩაყენებული პატარა ნაჭერი, ხიშტაკი; შარვლის უბის შიდა ნაწილი:

შარვალი უბეს რო აქ ჩაგდებული, ისიც ბაბლებია.

(ქართლური დიალექტის ლექსიკონი 1981; ქეგლ 1950).

საანალიზო სიტყვა გვხვდება ქიზიყურშიც: **ბაბ-ლ-ი, ბაბლ-ებ-ი „ნაქარგის ერთ-ერთი სახეა, სამკუთხედად ნაქსოვი“** (დლონტი 1984).

ქართული ბაბ-ლ-ის ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისი ჩანს ლაზურში დადასტურებული ბობ- ფუძე: ლაზ. ბობ-ი „შარვლის ან საცვლის უბე“:

სკანი შარვალიში ბობი ნდავ გიღუნ „შენი შარვლის უბე ვიწროდ გაქვს.“

ტარონი ქაგუიხუ, მპულაფე ბობისთერი ქოგილიკიდეს

„ამინდი გაფუჭდა, ღრუბლები უბესავით დაეკიდნენ (საწვიმრად მოემზადნენ).“

ნანდიდის **ბობი** კონა(რ)ი ჭიტა ონტულე ქულუტუ „ბებიას უბესავით პატარა ბოსტანი ჰქონდა.“

არ ბადიქ გზას ქომემაგეს, ჩხვინდი დიდი უდუტუ, ჩენგე ბობისთერი გელობუტუ „ერთი მოხუცი გზაზე შეგვხვდა, ცხვირი დიდი ჰქონდა, ნიკაპი უბესავით ეკიდა.“ (ლაზური მასალა მოგვაწოდა სელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფის მკვიდრმა ნაზი მემშიშმა).

ვფიქრობთ, მოცემული ქართულ-ზანური ფუძეები სემანტიკურად მსგავსია, ხოლო ფონეტიკურად ქართული ა : ზანური თ შესატყვისობა ეჭვს არ იწვევს (ცაგარელი 1880, 10-13); ქართულ დიალექტებში პოვნიერი ფუძისეული -ლ- ლაზურში შეიძლება დაკარგული იყოს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართლური დიალექტის ლექსიკონი 1981 – ქართლური დიალექტის ლექსიკონი, შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ხოზაძე, თბილისი;
2. ქეგლ 1950 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბილისი;
3. დლონტი 1984 – ალ. დლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი;
4. ცაგარელი 1880 – ალ. ცაგარელი, მინგრელის ეთიდები, სანქტ-პეტერბურგი.

## Eter Shengelia

### Towards the correspondance of *bab-l-* stem of Laz

#### Summary

In the Georgian language, for example, in the Kartlian and Khiziqian dialects are attested the stem **babl-i** with its plural form **babl-eb-i**, which has several meanings.

Kartlian **babl-i**, **babl-eb-i** means: 1. three-cornered lenghts used for sewing the blanket; 2. the ends sewed to the pillow-cases; 3. inside part of the trouser's bosom. In Khiziqian the same word's meaning is: one kind of the embroidery, something knitted in three-cornered.

To my mind Georgian **babl-i**, **babl-eb-i** could be phonetical and semantical correspondence of the Laz lexical unit **bob-i**, which means: “inside part of the trousers’ bosom.” Correspondence between Georgian **a** and Laz **o** is undoubtable, and the letter **-l-** found in Georgian **babl-i**, **babl-eb-i** could be lost in Laz.

Hence there is such correspondence: Georgian **bab-l-i** : Laz **bob-i**.

## ვაშა შეგძლია

### ლექსიკოლოგიური მიებანი

#### I. სვანური ბეჭ- „ბერვა“ ფუძის ისტორიისათვის

ცნობილია, რომ სვანურში, სხვა ქართველურ ენათაგან განსხვავებით, წარმოდგენილია გრძელი და უმდაუტიზებული ხმოვნები. უმდაუტის მეორეულობა ეჭვეჭვეშ არავის დაუყენებია. რაც შეეხება გრძელ ხმოვნებს, მათ მკვლევართა ერთი ნაწილი საერთოსვანურ თუ საერთოქართველურ მოვლენად მიიჩნევს, მეორე ნაწილი – სვანურ ინოვაციად (საერთოქართველურ ხმოვანთა სისტემასთან შედარებით).

ხმოვანთა შერწყმის შედეგად გრძელ ხმოვანთა მიღება სვანურში გავრცელებული პროცესია, ამასთან, როგორც უკვე ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, გრძელ ხმოვანთა წარმოქმნა სხვა გზითაც არის შესაძლებელი, კერძოდ, რიგ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ თანხმოვანთა დაკარგვის შედეგად მიღებული ე.წ. საკომპენსაციო სიგრძის შესახებ. ამავე დროს, გვაქვს სვანური ფუძეები, რომლებშიც, როგორც ვარაუდობენ, შემონახულია „პირველადი სიგრძე“. ასეთია რიცხვის მიაკუთხნებენ სვანურ (ბალზემოურ და ლაშეურ) ზმნურ ფუძეს ბეჭ- „ბერვა“ (აბეჭე „ბერავს“). სვანური ბეჭ-ის შესატყვისად იმავე სემანტიკის ქართული ბერ- და მეგრულ-ლაზური ბარ- მიიჩნევა, ხოლო საერთოქართველურ ამოსავლად – ბერ- ფუძე (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 250).

ვფიქრობო, სვანური ბეჭ- ფუძე ეტიმოლოგიურად შეიძლება დაუკავშირდეს ქართულ ბევრ-ს და გრძელი ე სვანურში კომბინატორულად იყოს მიღებული, ე. ი. საქმე გვქონდეს ჭ-ს (ჭ-ს) დაკარგვის შედეგად მიღებული საკომპენსაციო სიგრძესთან: \*ბეტრ- > ბეჭ- (\*აბეტრე > აბეჭე... ზედმიწ. „აბევრებს“ > „ბერავს“). ეს არ გამორიცხავს თვალსაზრისს, რომლის თანახმად ქართული ბევრი შეიძლება ნასესხები იყოს (აბაევი 1949: 262; ან-

დრონიკაშვილი 1966: 71).

თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, იმ ფუძეთა რიგს, რომლებშიც გრძელი ხმოვანი კომბინატორულად არის მიღებული, სვანური ბეჭ-იც უნდა მივაკუთვნოთ.

## II. ქართული კეწეწი

სულხან-საბა თრბელიანი განმარტავს: **კეწეწი „წვრილი ჯმელი წეირები“** (სულხან-საბა 1991: 389).

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ წარმოდგენილია ასეთი განმარტება: **კეწეწი** (კეწეწისა) „წვრილი ფიჩხი (ფიჩხის ნამტვრევები) – კაწაწი“. **კეწეწ-ს** უნდა უკავშირდებოდეს ბოტანიკური ტერმინი **კეწეწურა**: „მრავალწლოვანი ბალახი მარცვლოვანთა ოჯახისა; აქს წვრილი დერო ვიწრო ფოთლებიანი და თავთავისებრი ყვავილი; გავრცელებულია სათიბ-საძოვრებზე“ (ქეგლ 1955: 1155).

